„ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ისტორიის ფაკულტეტი

ია ბეჟანიძე

აჭარა ოსმალთა მფლობელობაში

(ნაშრომი წარმოდგენილია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

ხელმძღვანელი:

პროფესორი ტარიელ ებრალიძე

ხიჭაური-2021

ანოტაცია

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო სწორედ ის რეგიონია, სადაც დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი, გავრცელდა ქრისტიანობა და უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ეროვნულმა კულტურამ. XVI საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნული მხარე ოსმალებმა მოჰგლიჯეს საქართველოს და თავისი იმპერიის ნაწილად გადააქციეს. დაიწყო „ოსმალობის პერიოდი“, რომელიც სამი საუკუნე გაგრძელდა.

პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური თვალსაზრისით ოსმალთა უღელქვეშ მყოფი აჭარის მოსახლეობა არასდროს შეგუებია უცხოელთა ბატონობას. მოსახლეობის ნაწილი იძულებით გაამუსლიმანეს, მაგრამ მათ არ დაუკარგავთ ეროვნული მეობა. გულანთებულნნი იბრძოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისა და ოსმალთა ბატონობისაგან თავის დასახსნელად, რაც შეძლეს XIX საუკუნის 70-იან წლებში.

Annotation

Southwest Georgia is the region where the cradle of Georgian statehood was established, Christianity spread and the national culture reached the highest peak. In the 70-s of the 16th century, the Ottomans conquered Georgia and made it part of their empire. The "Ottoman period" began, which lasted for three centuries.

Politically, economically and religiously, the population of Adjara, which was under Ottoman rule, never accepted the domination of foreigners. Part of the population was forcibly converted to Islam, but they did not lose their national identity. They fought to free themselves from national independence and Ottoman domination, which they were able to do in the 70-s of the XIX century.

სარჩევი

შესავალი.....5

წყაროები და ისტორიოგრაფია.....8

თავი I. აჭარის მიტაცება ოსმალთა მიერ 11

თავი II. ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები , გადასახადები და საგადასახადო სისტემა აჭარაში XVI-XIX საუკუნეებში.....19

თავი III. აჭარის განთავისუფლებისთვის ბრძოლა XVI-XIX საუკუნეებში.....27

§.1 სელიმ ხიმშიაშვილი..... 50

§.2 აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნება - შერიფ ხიმშიაშვილი.....59

დასკვნები.....66

გამოყენებული ლიტერატურა.....68

შესავალი

მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მდიდარი წარსული აქვს ჩვენს ქვეყანასა და რეგიონს. სამშობლოს დასაცავად არაერთი ბრძოლა გაუმართავს ქართველ ხალხს, რაც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ, ამასთანავე არის ფაქტები და მოვლენები, რაც შავ ლაქად აწევს ჩვენი ქვეყნის წარსულს. სწორედ ასეთია „ოსმალობის პერიოდი“, როგორც ქვეყნისთვის ასევე აჭარისთვის.

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში შექმნილი ოსმალეთის პატარა სამთავრო დაპყრობებითა და რელიგიური ომების საშუალებით ძლიერ იმპერიად იქცა. მისი ექსპანსია მრავალი გზითაა ცნობილი. აღნიშნული იმპერიის რისხვა ჩვენს ქვეყანას პირველად 1454 წელს დაატყდა თავს, როცა ოსმალთა ფლოტი სოხუმში შემოიჭრა და გაძარცვა. ხოლო, რაც შეეხება ოსმალურ პერიოდს, რაც მიმართული იყო ქრისტიანული სარწმუნოების, ქართული ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულებების მახვილით განადგურებისაკენ მიმდინარეობდა XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან XIX საუკუნის 80-იან წლებამდე.

აქტუალურობა. აღნიშნული საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალურობას, რადგან აჭარის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც ოსმალთა ბატონობის მოვლენებს ასახავს, შეიძლება ითქვას, რომ ბურუსით იყო მოსილი ისტორიოგრაფიაში. მნიშვნელოვანია უახლესი მონაცემები ოსმალთა ბატონობის ხანაში. აღნიშნული დოკუმენტების თავმოყრა და ახლებური შესწავლა მეტ აქტუალურობას მატებს ჩვენს თემას.

თემის მიზანი. ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს აჭარის რეგიონის ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური მდგომარეობა აჭარის თურქთა მიტაცების პერიოდში. ასევე, ადგილობრივ მკვიდრთა დამსახურება და ღვაწლი ჩვენი კუთხის დედასამშობლოსთან დაბრუნების საქმეში.

სიახლე და მნიშვნელობა. აღნიშნული ნაშრომი მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საკვლევ რეგიონში XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან. სიახლე გახლავთ ის, რომ ნაშრომის მომზადებისას გამოვიყენეთ ბოლო დროინდელი გამოკვლევები, რომლებიც აღმოჩენილი იქნა თურქეთის არქივებსა და

საცავებში. ესაა რელიგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური ვითარების ამსახველი წყაროები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მესამე თავი იყოფა ორ პარაგრაფად.

შესავალი. შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალურობა, განსაზღვრულია მიზანი, მოცემულია სიახლე და მნიშვნელობა.

წყაროები და ლიტერატურა. განხილულია აღნიშნულ საკითხთან არსებული წყაროები და ისტორიოგრაფია.

თავი I. აჭარის მიტაცება ოსმალთა მიერ

ამ თავში საუბარია ოსმალეთის მცირე სამთავროს წარმოშობის, მისი შემდგომი გაძლიერებისა და ექსპანსიის შესახებ. განხილულია XVI საუკუნეში სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად აჭარის დაკავება, სანჯაყების დაარსება და აჭარელთა შეურიგებელი ბრძოლა მათი ბატონობის წინააღმდეგ.

თავი II. ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები, გადასახადები და საგადასახადო სისტემა აჭარაში XVI-XIX საუკუნეებში

მნიშნელოვანია ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები, რომელიც ოთხ კატეგორიად იყოფოდა: სახელმწიფო მიწებად, სავაყუფო მიწებად, სასულთნო მიწებად და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებად. მათ განაგებდნენ სულთნები, ვეზირები და სხვა თანამდებობის პირები. მიწის პატრონისა და გლეხის ურთიერთობა რა თქმა უნდა კანონებზე იყო დამყარებული.

ოსმალეთის მიერ აჭარაში შემოტანილი საგადასახადო სისტემა აბსოლუტურად განსხვავდებოდა ქართული საგადასახადო სისტემისგან. ისინი ცდილობდნენ ყველაფერზე დაეწესებინათ გადასახადი, რაც მძიმედ დააწვა ოსმალთა მმართველობის უღელქვეშ მოქცეულ ადგილობრივ მოსახლეობას.

თავი III. ბრძოლა აჭარის განთავისუფლებისათვის XVI-XIX საუკუნეებში (სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები).

აჭარელთა მიერ თავისუფლების მოსაპოვებლად წარმართული ბრძოლის ბედი დამოკიდებული იყო ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. დიდი სახელმწიფოების დახმარებით საქართველოს აღდგენასა და ქართველთა მიერ სწორი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმაზე. ამ ყველაფერს კი მოჰყვა მცირე და დიდი ომები, რომელიც მიმართული იყო ოსმალთა იმპერიის დაშლისკენ.

როგორც ვიცით, XVIII საუკუნის ბოლოდან ოსმალთა იმპერია თანდათანობით იშლება. ამის მიზეზია ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თვალსაზრისით რთული მდგომარეობა. ფეოდალთა თვითნებობა, არათურქული პროვინციების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. აჯანყების დროშა სამაჰმადიანო საქართველოშიც აღიმართა. ოსმალეთში თანამდებობა - „პროვინციის მმართველი“ მემკვიდრეობით გადადიოდა, რაც გულისხმობდა იმას, რომ დიდი ხნის განმავლობაში ჰყოლოდა ერთგული გამგებლები. ამ თვალსაზრისით, განსხვავებული მდგომარეობა იყო აჭარაში, სადაც ოსმალებს ფეხი ნაკლებად ჰქონდათ მოკიდებული და აქაური ადგილობრივი გამგებლები სარგებლობდნენ გარკვეული უფლებებით. აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია ხიმშიაშვილთა გვარის დაწინაურება და პოლიტიკური აღზევება, რაც აჭარის ისტორიის საამაყო ფურცლად ითვლება. სელიმ ფაშას მიერ დაწყებული თავგანწირული ბრძოლის ნათელი გამოვლინებაა ისტორიულ ასპარეზზე შერიფ ფაშას გამოჩენა და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება.

დასკვნები

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ცალკეულ თავებში მოცემული ინფორმაცია და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

წყაროები და ისტორიოგრაფია

აჭარა უძველესი დროიდან საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომელიც დაკავშირებულია ქართველი ერის სახელოვან და საამაყო წარსულთან. აჭარის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც ასახავს ოსმალთა ბატონობის დამყარებას დიდი დროის განმავლობაში იყო შეუსწავლელი. მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ ცნობილ მკვლევართა ნაშრომები.

ფასდაუდებელია ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომები: დ.ბაქარაძე, გ.ყაზბეგი, თ. სახოკია, ე.თაყაიშვილი, ასევე სხვა ავტორები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხებიან აღნიშნულ საკითხს.

საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა შორის, რომლებიც გამოირჩეოდნენ დიდი მზრუნველობით ჩვენი ქვეყნისადმი განსაკუთრებულია, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეროვნული მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე. დ.ბაქრაძე XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში წამოწყებული ყველა საზოგადოებრივი მოძრაობის აქტიური წევრი ყოფილა. მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული აჭარის ისტორიის იმ პერიოდთან, როცა აჭარის მოსახლეობა ებრძოდა ოსმალთა ბატონობას. დიმიტრი ბაქრაძეს დაევალა ოსმალო საქართველოს სამხრეთ ნაწილში არქეოლოგიური ძიებანი. მან 1874 წელს იმოგზაურა პირველად, როცა აჭარაში უშუალოდ მუსლიმანი მტერი ბატონობდა და მიიტაცა: ჩურუქსუ, აჭარა, ლაზისტანი, ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელი. მოგზაური აჭარის საზღვრებს ჩურუქსუსა და ჩაქვის კაზებს ხელოვნურად გამოყოფილად მიიჩნევს. ბაქრაძე წერს: ეტყობა ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის მოსახლეობა აჭარაში შედიოდა, ხოვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა (ბაქრაძე,1987:77). აღნიშნულ რეგიონში ქართული ენა შეუბღალავად იყო შემორჩენილი, რის მიზეზადაც ავტორი ასახელებს იმ ფაქტს, რომ აჭარას არასდროს შეუწყვეტია ურთიერთობა გურიასთან. მოგზაური ეხება სხვადასხვა სფეროს, ასახელებს, მიწათმოქმედებას, ბუნებას, ხალხს, სტუმართმოყვარეობას, ცალკეულ ხალხთა ტრადიციებს და ამ ყველაფერს დეტალურად აღწერს (ბაქრაძე, 1987).

XIX საუკუნის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გიორგი ყაზბეგს. 1874 წელს გიორგი ყაზბეგი სახმედრო-სადაზვერვო მისიით ოსმალეთის

იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ქართულ პროვინციებში: შავშეთში, აჭარასა და ჭანეთში იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგზაურობა დაკავშირებული იყო სამხედრო სტრატეგიულ და სასაზღვრო მიზნებთან, ყაზბეგი ყოველთვის ინარჩუნებდა ქართველი მამულიშვილის პატრიოტულ თვისებებს და ინტერესდებოდა მამულის ბედით. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა აღნიშნულ პერიოდში საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. რუსეთისთვის დიდი ინტერესის სფერო იყო თურქეთის საქართველო. ამ მხარის შემოსაერთებლად საჭირო იყო სტრატეგიული დაზვერვა. მზვერავად შერჩეული იქნა გრიგოლ გურიელი, რომელიც ენათესავებოდა ხიმშიაშვილებს. თუმცა მას არ ჰქონდა შესაბამისი სადაზვერვო გამოცდილება, რამაც განაპირობა მათ ამალაში გიორგი ყაზბეგის შეყვანა. მოგზაურობის შედეგად აღნიშნულ საკითხზე გ.ყაზბეგმა დაწერა ორი ვრცელი ნაშრომი: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო სტრატეგიული ნარკვევი“ (ყაზბეგი, 1995).

ქართველ ეთნოგრაფებს დიდი სამსახური გაუწია თედო სახოკიამ. ის თავისი დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამჭრიახი, გონებამახვილი და განათლებული ეთნოგრაფია. თ.სახოკიამ ვრცლად აღწერა გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოსახლეობაში არსებული კულტურული ვითარება, საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები. ავტორი საუბრობს აღნიშნული რეგიონის მიწათმოქმედეობაზე, მესაქონლეობაზე, მეცხოველეობაზე, სამეურნეო ყოფაზე. მკვლევარს ხვდა წილად შეესწავლა აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილე, მაშინ, როცა რეგიონი იბრძოდა თურქეთის ბარბაროსული ბატონობის წინააღმდეგ (სახოკია, 1985წ).

სამხრეთ საქართველოს მკვლევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხარიტონ ახვლედიანის ნაშრომებს. მათში ასახულია ჩვენი კუთხის ისტორიის თითქმის ყველა ეპოქა, მათ შორის ოსმალთა ბატონობის პერიოდიც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნაშრომები: „სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლნი“ და „აჭარის ისტორიიდან“ (ახვლედიანი, 1960).

ოსმალთა ბატონობის თანმსდევ სირთულეებსა და აჭარის რეგიონში გამართულ განმანთავისუფლებელი ბრძოლების შესახებ მნიშვნელოვან და დეტალურ ცნობებს გვაწვდის შამშე მეგრელიძის ნაშრომები (მეგრელიძე, 1964).

საკვლევი თემის შესაბამის, მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამირან ავალიანი. ავტორი საუბრობს მიწისმფლობელობის ფორმებზე XIX საუკუნის 40-70 წლებში, თურქთა ბატონობისგან განთავისუფლების წინ (ავალიანი,1962).

ოსმალთა ბატონობისა და საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ საყურადღებოა მ.სვანიძის ნაშრომები: ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს) და „საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები". დასახელებულ ნაშრომებში ავტორი საუბრობს: ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობის, ოსმალთა დაპყრობითი ომების, ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის, ოსმალო დამპყრობლების თავდასხმების შესახებ. ასევე, საქართველოსა და შავიზღვისპირეთის ანტიოსმალური კოალიციის შექმნაზე და სხვა მრავალ მნიშვნელოვან დეტალზე (სვანიძე, 1990).

ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობა მჭიდრო კავშირშია სელიმ ხიმშიაშვილის სახელთან. ამ თვალსაზრისით მნიშნვნელოვანია აბელ სურგულაძის ნაშრომი „სელიმ ხიმშიაშვილი". ეს არის პირველი მონოგრაფია დიდებული პიროვნების შესახებ (სურგულაძე, 1986).

ფასადაუდებელ მასალას წარმოადგენს ზ.შაშიკაძისა და ნ.შენგელიას მიერ თურქეთის არქივებში მიკვლეული მასალები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გავიაზროთ აჭარის პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური მდგომარეობა ოსმალო დამპყრობლების დროს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი", რომელიც სელიმ მეორის (1566-1574 წწ) მმართველობის პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს. მასში შეტანილია კომლები სოფლების მიხედვით და ისეთი სოფლებიც კი, რომლის მოსახლეობაც დაცლილია. დავთარი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტს, რომელიც შედგენილი იყო გადასახადების დაწესების მიზნით. საინტერესოა თავად დოკუმენტის სახელწოდებაც „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი", რაც ერთი მხვრივ იმის მიმანიშნებელია, რომ შესაძლოა არსებობდეს

ქვემო აჭარის დავთარიც, რომელშიც ბათუმს მოისაზრებენ. აღნიშნულ მოსაზრებაზე ინფორმაცია ერთდროულად ორ წყაროში გვხვდება. ერთია ლეონტი მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა ძვ.წ მესამე საუკუნეში ქვეყანა საერისთავოებად დაჰყო და ოძრხის ერისთავი გაგზავნა იმ ტერიტორიებზე, რომლებშიც აჭარაც შედიოდა. იგივე აზრს განამტკიცებს ვახუშტი ბატონიშვილი, სადაც ჯუმათის ტაძარს აღწერს: „ჯუმათი მაღალ გორზეა, საიდანაც მოსჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფერსათამდე, ასევე გურია, ბათუმის მხარე, შავი ზღვა, ფოთი (ბატონიშვილი ვახუშტი.1904; 313).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად საუბარია ბოლო დროს გამოცემულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნარკვევების ოთხტომეულში. ავტორტა კოლექტივი ფართოდ საუბრობს ოსმალთა მიერ აჭარის მიტაცებაზე, იმ მძიმე ვითარებაზე, რასაც განიცდიდა ადგილობრივი მოსახლეობა. ასევე, საუბარია განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე აჭარაში. II ტომი თითქმის თხუთმეტ საუკუნეს მოიცავს, იწყება მეხუთე საუკუნით და გრძელდება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე (დაწვ. იხ. სვანიძე.მ, შენგელია.ნ, სურგულაძე.ა, სიხარულიძე.ფრ, 2009).

1877-1878 წლების ომი, ომამდე არსებული მცდელობები აჭარის დასაბრუნებლად, ბათუმის გამოხსნა ოსმალთა ბატონობისგან და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები ვრცლადაა აღწერილი ნარკვევების III ტომში (თურმანიძე.ო, 2008).

ყოველივე ზემოჩამოთვლილით შესაძლოა ახსნა მოეძებნოს აჭარისწყლის ხეობაში შექმნილ დემოგრაფიულ, სოციალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ვითარებას, რომელიც წარმოდგენილია XVI საუკუნის 70 იან წლებიდან XIX საუკუნემდე.

თავი I

აჭარის მიტაცება ოსმალთა მიერ

აჭარა ისტორიული მხარეა, მასში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები: ქვის, ბრინჯაოს, რკინის ნივთები ავსებენ და ამდიდრებენ არა მარტო აჭარის, არამედ საქართელოს ისტორიულ წარსულს. მე-9 საუკუნიდან აჭარა ტაო-კლარჯეთის შემადგენლობაში შედის. ტაო-კლარჯეთის სამთავრო მდებარეობდა ჭოროხის აუზის ირგვლივ, იქ აღმოცენდა კულტურის ცენტრები: ტბეთი, ოპიზა, შატბერდი, იშხანი, ბანა და სხვები. ისინი აჭარის ტერიტორიასთან ისე ახლოს იყვნენ, რომ აჭარის ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა განიხილებოდა ტაო-კლარჯეთის საერთო განვითარებით.

XI-XII საუკუნეებში აჭარა წარმოადგენდა გაერთიანებული საქართველოს ნაწილს. როცა საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო წინა აზიაში, აჭარაც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია სხალთის ეკლესია, ხიხანის ციხე და სხვა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები.

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო სუსტდება, რაც გამოიწვია ახალ მტერთა გამოჩენამ მონღოლთა და თურქთა სახით. რეგიონისთვის განსაკუთრებულად რთული და მტკივნეული აღმოჩნდა ოსმალთა გამოჩენა.

XIII-XIV საუკუნეების გასაყარზე ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში ოსმალეთის სახელმწიფო წარმოიქმნა. სახელმწიფოს დამაარსებლად ითვლება თურქული მოდგმის ერთ-ერთ ტომის ბელადის შვილი ოსმანი (1281-1326წწ). ოსმანის შთამომავლების დროს თავდაპირველი საზღვრები საგრძნობლად შეიცვალა, გაფართოვდა და გაძლიერდა.

1326 წელს ოსმალებმა ორჰანის მმართელობის დროს ბურსა დაიპყრეს, 1330 წელს -იზნიქი, 1337 წელს-იზმითი და გადავიდნენ მარმარილოსა და შავი ზღვის სანაპიროებზე. წარმატებას მიაღწიეს ევროპასა და ბალკანეთში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი ბულგარეთის, სერბიისა და უნგრეთის ქალაქები და სოფლები დაიკავეს.

განუწყვეტლივი ომები მოითხოვდა ძლიერ და დისციპლინირებულ არმიას. გააჩნდათ თიმარული სისტემა (სვანიძე,1999:86-98), რაც გულისხმობდა მრავალარიცხოვანი, რეგულარული ცხენოსანთა არმიის შექმნას. ასევე შექმნეს ქვეითი ჯარი - „იანიჩარი“. იანიჩართა ჯარს თავდაპირველად ქრისტიანთაგან აკომპლექტებდნენ, რომლებიც საკუთარი ნება-სურვილით მუსლიმანდებოდნენ. მაგრამ, მურად პირველის დროს (1362-1389 წწ) ეს წესი დევშირმეს წესით შეიცვალა. დევშირმეს წესი გულისხმობდა ქრისტიანულ ქვეყნებში 8-12 წლის ბავშების შეგროვებას თურქულ ოჯახებში გაგზავნას და სამხედრო თვალსაზრისით მომზადებას. მათ არ ჰქონდათ უფლება შეერთოთ ცოლი, ჰყოლოდათ ოჯახი. ჯარის ნაწილი განლაგებული იყო დედაქალაქში, ნაწილი კი სხვა დიდ ქალაქებსა თუ ციხე-სიმაგრეებში.

ბაიაზედ პირველის, მეჰმედ პირველისა და მურად პირველის დროს კვლავ გრძელდებოდა ოსმალთა დაპყრობითი ომები ევროპაში. მათი სამიზნე იყო კონსტანტინოპოლი, რომლის წინააღმდეგაც 1422 წელს მიიტანეს იერიში, თუმცა უშედეგოდ. სამწუხაროდ ევროპის სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ბიზანტიის დედაქალაქს დახმარებოდნენ, 1453 წელს მეჰმედ მეორემ ევროპასა და აზიას შორის არსებული სავაჭრო, სატრანსპორტო ცენტრი იგდო ხელთ, კონსატანტინოპოლი აიღო და ოსმალთა დედაქალაქად აქცია.

კონსტანტინოპოლის აღების შემდგომ მეჰმედ მეორის ინტერესის სფერო შავი ზღვისპირეთის დამორჩილება გახდა. აღნიშნულ ტერიტორიას XIII საუკუნემდე ბერძნები განაგებდნენ. მიმდინარეობდა აქტიური ვაჭრობა და ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ქალაქები.

1454 წლის ზაფხულში ბოსფორიდან გამოსული ოსმალთა ფლოტი სოხუმს დაესხა თავს. ეს იყო ოსმალთა მხრიდან პირველი თავდასხმა საქართელოს შავი ზღვის სანაპიროზე. ქართველმა მთავრებმა ეს ვითარება სწორად შეაფასეს და რომის პაპს გააგებინეს ყოველივე. საქართველოში შემოდის პაპის წარმომადგენელი - ლუდოვიკო ბოლონიელი, რათა მოამზადოს ნიადაგი ანტიოსმალური ლაშქრობის მოსაწყობად.

იწყება სამზადისი ანსტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. ქართველ მეფე-მთავრებს უერთდებიან ტრაპიზონის იმპერატორი და სომხეთის მთავარი. ასევე თეთრბატკნიანთა გამგებლებიც, მაგრამ ეს ცდა, რომელიც მიმართული იყო კოალიციის შექმნისაკენ ჩაიშალა.

ოსმალეთისათვის ცნობილი გახდა, რომ მის წინააღმდეგ იგეგმებოდა კოალიციის შექმნა. მეჰმედ მეორე კი კოალიციის ერთ-ერთ წევრს - ტრაპიზონს შეებრძოლა და გაანადგურა კიდეც.

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ოსმალო დამპყრობლები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს. ჯერ კიდევ ტრაპიზონიდან შეძლეს მათ ქართული სოფლების დაკავება და ცდილობდნენ იქ ოსმალების ჩასახლებას. ტრაპიზონის დაპყრობით მათ შექმნეს პლაცდარმა, როგორც ხმელეთით, ასევე ზღვით საქართველოზე თავდასასხმელად. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „დაიპყრო ხონთქარმან ტრაპიზონ..და ეკირთებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, ქც. ტ IV:705).

ტრაპიზონის დაპყრობით უფლისწულებმა სელიმმა და ბაიაზიდმა მოაწყეს თავდასხმები საქართველოზე. კერძოდ, ბაიაზიდის ინიციატივით მოეწყო თავდასხმა გიუმიშხანეს ქართულ სოფლებზე (სვანიძე, 1990, 115-125).

ოსმალები ცდილობდნენ საქართველო მაქსიმალურ იზოლაციაში მოექციათ ევროპისაგან. 1479 წელს დაიკავეს -ტამანის ნახევარკუნძული, 1484 წელს - კილიკია და აკერმანი. ევროპის ქვეყნებს კი ჩაუკეტეს შავ ზღვაზე გასასვლელი. შავი ზღვა იქცა ოსმალეთის ტბად. ყოველივე ამის შემდეგ კი იწყება ის დიდი ბრძოლები, რომელიც მიმართულია აჭარისა და სამცხის დასაპყრობად.

ცნობილია, რომ 1514-1555 წლებში ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარეობდა ბრძოლები, რომელთა მთავარ მიზეზსა და ასპარეზს წარმოადგენდა კავკასია და საკუთრივ საქართველო.

ამ წლებში ჩვენს ქვეყანაში შინააშლილობა სუფევდა. მეფე-მთავრებს შორის უდიდესი ქიშპი და მტრობა იყო, რასაც რა თქმა უნდა საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებდა ოსმალეთი. ქართველი ფეოდალები კი იქცეოდნენ ოსმალო

მმართველების გულისმოსაგებად. მაგალითად 1509 წელს ოსმალებმა ქუთაისი გადაწვეს, დაანგრიეს. ამ საქმეში დიდი როლი მიუძღვოდა სამცხე-საათაბაგოს ათაბაგ "მზეჭაბუკს". მზეჭაბუკმა მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით". ოსმალეთის გამგებელმა სელიმმა ამ დროს მზეჭაბუკს მოსთხოვა მიჰყოლოდა „იმერეთსა ზედა" (ბატონიშვილი ვ,1973:711). ყოველივე აღნიშნულს მოჰყვა გელათისა და ქუთაისის ნგრევა.

იმერეთის მეფე ბაგრატ მესამე ვერ პატიობდა მზეჭაბუკს ღალატს და დაიპყრო სამცხე-საათაბაგო. ათაბაგობა დროებით შეწყდა. აჭარა და გურია გურიელს დაუბრუნდა. 1536 წლის 4 ივლისს სულთნის ბრძანებით მეჰმედ ფაშამ ილაშქრა საქართველოში და რამდენიმე სანჯაყი დაარსა. 1545 წელს სამცხეში ახალი ლაშქარი მოემართება, ბრძოლა გაიმართა სოხოისტასთან. ქართველები დამარცხდნენ, ოსმალებმა აიღეს ციხე-სიმაგრეები და მკვეთრად მოიკიდეს ფეხი სამცხე - საათაბაგოში.

ოსმალო დამპყრობლები 1551 წელს რამდენიმე გემით მოადგნენ ფოთს. მათ მიზანს წარმოადგენდა ფოთთან და ზღვაში ჩამავალ მდინარეებთან საბაჟოების გახსნა. მაგრამ ქართველთა წინააღმდეგობა არ აძლევდა მათ ამის საშუალებას, სწორედ ამ დროს ოსმალეთი თავს დაესხა ბათუმს.

გურიელმა დახმარებისათვის ლევან დადიანსა და იმერეთს მეფეს მიმართა. თუმცა დახმარებას არ დალოდებია, ისე გადავიდა შეტევაზე. ოსმალებმა ამ დროს ვერ შეძლეს ქართველთა დამარცხება და 1551-1552 წლებში კვლავ განაახლეს შეტევა. დაიპყრეს ტაშისკარი, მამირვანი, მაჭახლის ხეობა, არტანუჯიის ციხე, არტაანი და მიმდებარე ტერიტორიები არსიანის მთამდე (ბერი ეგნატაშვილი 1959, 501-502). 1522 წელს ირანელთა მხარდაჭერით ქართველებმა შეძლეს კონტრშეტევის განხორციელება და დაიკავეს შავშეთი, ლივანა, აჭარისყლის ხეობა და ქართველი ბეგები აიძულეს, რომ ეცნოთ ოსმალთა ხელისუფლება.

1555 წელს, გაზაფხულზე, ამასიაში ირანის ელჩი ჩავიდა მოლაპარაკების საწარმოებლად. 29 მაისს დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის, რის შემდეგაც ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს ამიერკავკასიის ქვეყნები. ქართლ-კახეთი, აღმ.მესხეთი ახალციხის ჩათვლით ერგო ირანს, დასავლეთ საქართელო და სამცხე

საათაბაგოს დიდი ნაწილი ოსმალეთს. ასევე განაწილდა სომხეთი: აღმოსავლეთ სომხეთი - ერევანს, დასავლეთ სომხეთი არზრუმით - ოსმალეთს, აზერბაიჯანი - ირანს, აჭარისწყლის ხეობა კი ოსმალეთს.

ამასიის ზავის დადების შემდეგ, კიდევ უფრო გამკაცრდა და გააქტიურდა ოსმალეთის მხრიდან მტაცებლური პოლიტიკა. ამის მაგალითია ქვეყნის სანჯაყებად დაყოფა, აღწერა, დავთრებში გატარება. ყოველივე ამის მიზანი იყო ქართული ფეოდალური წესები და ინსტიტუტების მოშლა, მათ ნაცვლად თურქული წესების შემოღება.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სამხრეთ ნაწილს ხონთქარი მართავდა, იგი ძალადობით იპყრობდა ქართულ ოლქებს და იქ ნერგავდა ოსმალურ მიწისმფლობელობას.

თურქული წყაროების მიხედვით საქართველოს ტეროტორიებზე ლივებისა და სანჯაყების დაარსება XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია დაიყო 14 სანჯაყად ანუ ლივად. ესენია: 1) ბასიანი; 2) დიდი არტაანი; 3)პატარა არტაანი; 4) ოლთისი; 5)ნამირვანი; 6)თორთრუმი; 7)ლივანა; 8)ნიფსი; 9)ფერთევერექი; 10)შავშეთი; 11)იმერხევი; 12) მაჭახელა; 13) აჭარა; 14)ისპირი-სპერი.

აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ თუ როდის დაარსეს ოსმალებმა აჭარის ტერიტორიაზე სანჯაყი. დ.ბაქრაძის ცნობით, ეს მოხდა მამია გურიელის დროს. ამიტომ, რადგან მამია გურიელი გარდაიცვალა 1564 წელს, აჭარის სანჯაყი უნდა დაარსებულიყო 1564 წლამდე. ჩხარტიშვილის ცნობით ოსმალებმა აჭარა დაიპყრეს XVI საუკუნის 70 იან წლებში, სხვა მკვლევართა ცნობებით კი ზუსტად 1570 წელს. რაც შეეხება თურქულ წყაროებს მათში ჩანს 1522 წელი. დასახელებულია ქართველი ფეოდალი - ქრისტიანი ბეჟანი, რომლისთვისაც სულთანს შეუთავაზებია გამგებლობა გამაჰმადიანების სანაცვლოდ. იმ მომენტისთვის ბეჟანმა უარყო სულთნის შეთავაზება, თუმცა 10 წლიანი წვალებისა და ბრძოლების შემდეგ, რომელიც მიმართული იყო სულთნის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და მოუწია მაჰმადიანობის მიღება. მას მეჰმედი ეწოდა, ჰქონდა შემოსავალი- 300 ახჩის ოდენობით და დაარსა სანჯაყი (დიასამიძე, 2001: 65).

სანჯაყის დაარსების შემდგომ ოსმალებმა აღწერეს აჭარა და შეადგინეს „ აჭარის დიდი დავთარი“. მასში ჩვენი მხარე ზემო და ქვემო ნაჰიებად-რაიონებადაა დაყოფილი. ზემოში -59 სოფელია, ქვემოში-35, სულ -94. რაც შეეხება კომლს, მათი საერთო რაოდენობაა 540 : ზემო-318, ქვემო - 22 .

არ არის დაზუსტებული ამ დავთრების შექმნის ზუსტი თარიღი. თუმცა, მათში ნახსენებია სელიმ მეორე (1566-1574წწ). სწორედ ამიტომ საფიქრებელია, რომ მისი მმართველობის დროსაა შედგენილი. 94 სოფლიდან 35 დაუსახლებელია, რადგან აჭარის მოსახლეობა ვერ ეგუებოდა ოსმალთა მხრიდან, მტრულ, აგრესიულ წეს-წყობილებას და მძიმე გადასახადებს. დიდი დავთარის გვერდით არსებობს პატარა დავთარი, მასში აღწერილია ლენის მფლობელობის გადასახადები. პატარა დავთარში დამოწმებულია მიწისმფლობელობის კატეგორიები: ხასი, ზიამეთი, ვაყუფი და ა.შ.

ოსმალეთის მთავრობის მხრიდან ხშირი იყო დაპყრობილ ტერიტორიებზე ხალხის ჩასახლება. ეს ერთი მხრივ ახდენდა დაპყრობილი ქვეყნების ასიმილაციას, მეორე მხრივ პოზიციებს იმყარებდა. არსებობს ცნობები, რომელთა თანახმადაც აჭარაშიც ჩაუსახლებიათ მომთაბარე ტომები, თუმცა აჭარის მოსახლეობა მათ მტრულად დახვედრია, რის გამოც ფეხი ვერ მოუკიდებიათ რეგიონში.

1578 წელის ირანის წინააღმდეგ ახალი ომი დაიწყო, რომელიც 1590 წლამდე გაგრძელდა. 1579 წელს ოსმალეთმა ქუთაისის დაპყრობა დააპირა. ამავე წელს მათ სოხუმის დაბეგლარბეგო დაარსეს (სვანიძე, 1964:70-84). 1579 წლის 25 ივნისს სულთანმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ჩილდირის საბეგლარბეგო დაარსა, რომლის გამგებლადაც დანიშნა გამაჰმადიანებული მანუჩარი, იგივე მუსტაფა. ამ ომის დროს აჭარა ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულა. მაგრამ ოსმალებმა აჯანყებაც ჩაახშეს და გარკვეული ციხე-სიმაგრეებიც დაიკავეს. რაც შეეხება ბათუმს, 1647 წელს ბათუმი ქართველთა ქალაქი იყო.

XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში დაიწყო ანტიოსმალური გამოსვლები. მემატიანე მეჰმედ რამიდის ცნობით იმერეთი, გურია და სამეგრელო უარს ამბობდნენ ისლამის მიღებასა და ისლამური ქვეყნების

ქვეშვრდომობაზე. იმავე შინაარსის მატარებელია რამდენიმე თურქული დოკუმენტიც.

სულთნის მთავრობა რა თქმა უნდა სათანადოდ შეიარაღებული ელოდებოდა ამ აჯანყებებს. 1703 წელს, ზაფხულში ოსმალთა ლაშქარი ბათუმისაკენ გამოემართა, მათ მეთაურობდა არზრუმის ბეგლარბეგი ჰალილ ფაშა. ამავე წელს დასავლეთ საქართელოს შეუტიეს, როგორც ხმელეთით, ასევე ზღვით დაიკავეს ბათუმი და დაიწყეს საკუთარი ციხე-სიმაგრეების აშენება. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობა საკმაოდ ძლიერი იყო. თუმცა, ოსმალებმა ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, რუხისა და ბაღდადის ციხეებში მეციხოვნეები ჩააყენეს (ჩხარტიშვილი, 1972: 56-63). მიუხედავად გაწეული წინააღმდეგობისა აღნიშნული აჯანყება მარცხით დასრულდა, რადგან აჭარის მოსახლეობამ ვერ შეძლო ჯარის იმ დოზით გაერთიანება, რომ მტრის წინააღმდეგობას გამკლავებოდნენ.

1712 წელს სულთანმა ბათუმი და ჩაქვი შეუერთა ტრაპიზონის ვილაიეთს. 1723 წელს განახლებული ირან-ოსმალეთის ომის დროს დასავლეთ საქართველოში ოსმალთა გავლენა გაიზარდა, ამავე წელს ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და საქართველო მოსწყვიტეს ზღვას. ზღვისპირა ქალაქებში კი გარნიზონები ჩააყენეს, ადრე მათ ხელთ არსებულ ქალაქებში: ბათუმში, ჩაქვში, ფოთში, ბიჭვინთასა და ქობულეთში კი ციხე -სიმაგრეები გაამაგრეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ ოსმალებმა ბათუმი, ქობულეთი, ციხისძირი და მიმდებარე ტერიტორიები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დაიპყრეს.

თავი II

ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები, ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა აჭარაში XVI-XIX საუკუნეებში

ცნობილია, რომ ოსმალებმა აჭარის დაპყრობისთანავე შემოიღეს მმართველობის ფორმები, ტერიტორიები დაყეს ოსმალური წესის მიხედვით, ქვეყანაში შემოდიოდა ოსმალური საგადასახადო სისტემა და მიწისმფლობელობის ფორმები.

ოსმალეთის იმპერიაში მიწისმფლობელობის ოთხი კატეგორია არსებობდა: 1)სახელმწიფო მიწები; 2)სავაყუფო მიწები; 3)სასულთნო მიწები; 4)კერძო საკუთრებაში არსებული მიწები. გარდა ჩამოთვლილისა არსებობდა მიწის მფლობელობის სხვა კატეგორიებიც, რომელთაც ფლობდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები.

ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმებს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მიაქცია ყურადღება რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორსეპოდენტმა დიმიტრი ბაქრაძემ. დ.ბაქრაძის შემდეგ აღნიშნული საკითხის ირგვლის ვრცლად ისაუბრა ა.ავალიანმა. ასევე მ.სვანიძემ, გ.ფუთურიძემ, ჰადიე თუნჯერმა და სხვა მკვლევარებმა.

სახელმწიფო საკუთრების მიწას ერქვა არზი მირი. ამ მიწაზე დასახლებული გლეხები სახელმწიფოს გასამრჯელოს უხდიდნენ. არზი მირი გადაიცემოდა მემკვიდრეობით მამიდან ვაჟ შვილზე. ვაჟიშვილის არ ყოლის შემთხვევაში ქალიშვილზე ან გარდაცვლილის ძმაზე. თუ გლეხი მიწას სამი წლის განმავლობაში დაუმუშავებლად მიატოვებდა ამ მიწას დაკარგავდა.

სახელმწიფოს დაქვემდებარებაში შედიოდა ასევე თიმარები და ზიამეთები - ე.წ სამხედრო საკარგავები. იგი სამხედრო სამსახურისთვის იძლეოდა. თიმარის წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 20 000 ახჩას. ხოლო ზიამეთის წლიურ შემოსავალი 100 000 ახჩას არ აღემატებოდა. ხასა კი წარმოადგენდა სულთნების, დიდვეზირებისა და ვეზირების მიწას. მისი შემოსავალი აღემატებოდა 100 000 ახჩას. თიმარებისა და

ზიამეთების მფლობელ ფეოდალებს მიწის ნაკვეთები ჯარის გამოყვანის სანაცვლოდ ეძლეოდა. თიმარს 300 ახჩაზე- 1 მხედარი, ხოლო ზიამეთს 500 ახჩაზე-1 მხედარი.

მიწის პატრონისა და გლეხის ურთიერთობა კანონებზე იყო დაფუძნებული. თუ გლეხი ვერ შეასრულებდა სამსახურს სათანადოდ, მაშინ იგი მიწაზე უფლებას კარგავდა. ასევე თუ არ მოუვლიდა და გააპარტახებდა უშუალოდ მიწას კარგავდა, რის შემდეგაც მიწა თაფუს საფუძველზე სხვა პირს ეძლეოდა. თაფუ იყო მოწმობა, რომლითაც გლეხი მიწას ფლობდა.

სახელმწიფო მიწების გარდა არსებობდა სასულთნო მიწები - სულთნის ხასები. სულთანს შეეძლო სურვილის შემთხვევაში მიწა გაესხვისებინა. ავტორთა ნაწილი სულთნის მიწას აიგივებს სახელმწიფო მიწასთან.

სულთნებისა და ფეოდალების შეწირული სიმდიდრით გაჩნდა მიწისმფლობელობის კიდევ ერთი ფორმა „სავაყუფო მიწები“ იგივე საეკლესიო მიწები. აღნიშნული მიწები გათავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარი გადასახადისგან. მთელი მათი შემოსავალი ხმარდებოდა მუსლიმანური სალოცავების აგებასა და მოვლას.

მიწისმფლობელობის ოფიციალურ ფორმათაგან ბოლო ფორმას წარმოადგენს მულქის კატეგორია. მასში შედიოდა მიწები, რომელთაც სულთანი ურიგებოდა ცალკეულ პირებს - გაჩუქებამდე. ეს მიწები იყო მოუვლელი და მოუწესრიგებელი, სწორედ ამიტომ ურიგებდა სულთანი მას ამა თუ იმ პირს. მულქი გადადიოდა მემკვიდრეობით. შეიძლებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა და გასხვისებაც. თუმცა აკრძალული იყო მისი ჩამორთმევა.

რაც შეეხება მიწიმსფლობელობას აჭარასა და იმდრონდელ საქართველოში რა თქმა უნდა ქართველები არ ურიგდებოდნენ ისეთ მიწისმფლობელურ ფორმებს, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის აბსოლუტურად უცხო იყო და მოახერხეს ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ოსმალურისაგნ განსხვავებულ ნიშან-თვისებებს. ქართველი ფეოდალები არ თმობდნენ თავიანთ ქართველობას და მედგრად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. ასეთები იყვნენ მანუჩარ ათაბაგი, მისი მეუღლე ელენე, მანუჩარის დედა, აზნაურები, საეკლესიო მსახურები და ა.შ. ამის

შესაბამისი მასალები ვრცალადაა წარმოდგენილი გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში.

ოსმალთა მიწისმფლობელურმა ფორმებმა კარგად მოიკიდა ფეხი სამცხე საათაბაგოში, რასაც ადასტურებს იქ არსებული მიწათმფლობელობის კატეგორიები: ხასი, ზიამეთი, ვაყუფი და სხვა.

საინტერესოა ამ პერიოდის ქართული პროვინციების მდგომარეობა, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებში ერთიანდებოდნენ. მაგ : ჩილდირის ვილაიეთში: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ფოცხოვი, აჭარა, ფანაკი ხოლო ოთხი სანჯაყი გაცემული იყო თურქეთში ესენია: ლივანა, შავშეთი და ფანასკერტი. ჩილდირის ვილაიეთში შედიოდა 656 კილიჩია: ზიამეთი-97, თესქერიანი-559, უთესქერო - თიმარია. მათ ევალებოდათ 1700 მდე მეომრის გამოყვანა.

აჭარაში ოსმალური მიწისმფლობელობის შესახებ საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალებია დაცული აჭარის ლივის ზემო და ქვემო დავთრებში. მათში წარმოდგენილია მიწისმფლობელობის შემდეგი ფორმები: თიმარი,ზიამეთი, ხასი, ჩიფლიქი და სხვა.

ქვემო აჭარის ხასები ყოფილა სულეიმან ბეგის საკუთრება. დავთარში ნახსენებია ტერიტორიები, რომლებიც ჯერ ხასად გადაკეთდა შემდეგ კი ჩიფთლიქად. ახმედ ფაშა განაგებდა ქვემო აჭარის 7 სოფელს. ამრიგად, ზემო და ქვემო აჭარაში ბეგები განაგებდენენ ხასებს.

დავთრის თანახმად ირკვევა, რომ ვაყუფები ებოძა მუსტაფა ლალა ფაშას, მაგრამ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ისინი ჩამორთმეულია. ლალა ფაშა ამ დროს გარდაცვლილი იყო, მისთვის ბოძებული ვაყუფები კი სხვა პირებს ებოძათ. ასევე დავთრებში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, რომ აქ ყოფილა ზიამეთები და თიმარები. მიწისმფლობელობის ამ ფორმების გამოჩენა სავარაუდოს ხდის, რომ დავთარი უნდა შედგენილიყო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, რადგან მიწის ნაკვეთების ზიამეთებად და თიმარებად გადაკეთება სწორედ ამ დროს მოხდა. ზემო და ქვემო აჭარაში დასახელებულია 13 ზიამეთი და 7 თიმარი. შესაძლებელი იყო მათი გაბოძება. ზემოჩამოთვლილის საფუძველზე დასტურდება, რომ აჭარის ლივის

მოკლე დავთარი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ზემო და ქვემო აჭარის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესასწავლად.

ასევე საინტერესო წყაროა აჭარის ისტორიისთვის მოკლე დავთარი ბათუმის ლივის შესახებ. მასში ჩამოთვლილია მიწისმფლობელობის ფორმები, დასახელებულია 18 ზიამეთი და 41 თიმარი. დავთარში აღნიშნულია გადასახადებიც. აქვე მოთხრობილია ბათუმის ჩაუშთა და გონიოს ციხის თოფჩიების ქეთხუსებისადმი ბოძებულ მიწებზე.

აღნიშნული დავთრები მოწმობს იმას, რომ მიწისმფლობელობის ის ფორმები, რომლებიც ოსმალებს შემოჰქონდათ დაპყრობილ ქვეყნებში მკვეთრად განსხვავდებოდა საკუთვრივ ოსმალეთში არსებული ფორმებისგან. მათში აღნიშნული მასალა ადასტურებს, რომ ბათუმის მოსახლეობა თავისუფალი იყო ყოველგვარი გადასახადისგან. ფლობდა მიწის ნაკვეთებს ბაშთინეების სახით. ბაშთინე წარმოადგენდა სასახლისა და ლაშქრის სხვადასხვა სახეობის გადამხდელ ქრისტიან ქვეშემრდომებს, ეს მემკვიდრეობა მამიდან შვილზე გადადიოდა. ბაშთინეებით იყო მოფენილი ბათუმის სანჯაყი.

ამრიგად, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში თავისებურად მიმდინარეობდა. ოსმალეთის მთავრობა ჩვეული სიმკაცრით ვეღარ ახერხებდა მიწისმფლობელობის ფორმების დამკვიდრებას. დაკმაყოფილდნენ მხოლოდდამხოლოდ იურთლუქებისა და ოჯაქლიქების შემოღებით (სვანიძე, 1967:302). სახელმწიფო საკუთრების მიწებიდან აჭარაში არსებობდა ხასები, ზიამეთები და თიმარები.

მიწისმფლობელობის ფორმების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოსმალურ გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას. ოსმალეთის ეკონომიკა დაპყრობით ომებზე იყო დაფუძნებული, ამიტომ წარმატებული ომების შესაბამისი იყო ოსმალთა ეკონომიკა და მათი საგადასახადო სისტემა. მათთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა დაპყრობილი ქვეყნებიდან წამოღებული ნადავლი, ტყვე და მათზე დაკისრებული გადასახადები.

ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის საკითხი ერთ-ერთი ძირითადია თურქული ფეოდალიზმის ისტორიაში. იგი მთლიანად შეესაბამებოდა თურქული სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ბუნებასა და ხასიათს (შენგელია, 1962:124).

ოსმალური გადასახადები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: 1).შარიათის პრინციპზე დაფუძნებული- იგივე რუსუმი შერიე. აღნიშნულ გადასახადს იხდიდნენ არამუსლიმნები. 2). სულთნისა და უმაღლესი რანგის მოხელეების სურვილებით შემოღებული გადასახადები- რუსუმი ორფიე. ეს გადასახადი უნდა გადაეხადა, როგორც არამუსლიმან ასევე მუსლიმან მოსახლეობას. შარიათზე დაფუძნებულ გადასახადებს მიეკუთვნებიან: **ზექათი, უშრი, ჯიზიე და ხარაჯა**.

ზექათი ნიშნავს ბარაქას - ნამატს. ეს არის ისლამის აუცილებელი პირობიდან ერთ-ერთი, რაც გულისხმობს წელიწადში ერთხელ ქონების მეორმოცედის გადაცემას გაჭირვებულებზე. ზექათს იხდიდნენ გადახდის უნარიანი მუსლიმები და არა მონები ან ტყვეები. ზექათი თავის მხვრივ იყოფოდა რამდენიმე გადასახადად.

უშრი წარმოადგენს მოსავალზე დაწესებულ ზექათის გადასახადს. არსებობს მისი ორი სახე: ერთი უშრი ჩვენს მიერ დასახელებული გადასახადია. ხოლო მეორე გულისხმობს მოსავლის მეათედის შეტანას ხარაჯის გადასახადთა ჯგუფში.

ჯიზიე ოსმალურ საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი მნიშნელოვანი გადასახადია. მას იხდიდა არამუსლიმანი ადამიანი საკუთარი ოჯახისა და სარწმუნოების უზრუნველყოფისათვის. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ქრისტიანი არ ღებულობდა ისლამს და მას ჯიზიის გადახდას აკისრებდნენ. გარდა აღნიშნულისა თურქულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჯიზია წარმოადგენდა სამხედო გადასახადს, ადამიანი, რომელიც ჯიზიეს გადაიხდიდა თავისუფლდებოდა გადასახადისგან. ამიტომ ჯიზიეს სხვაგვარად „ჯარის სანაცვლოს“ უწოდებდნენ. გადასახადს იხდიდა 13 -დან 75 წლამდე ყველა ჯანმრთელი მამაკაცი. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ჯიზიისგან გასათავისუფლებლად მოსახლეობა იტყუებოდა ასაკს.

ხარაჯა-ს დიდი ადგილი უჭირავს ოსმალურ საგადასახადო სისტემაში. განასხვავებენ მის ორ სახეს: 1). ხარაჯა მუვაზზაფ - რაც გულისხმობდა დასამუშავებლად აღებული მიწის ნაკვეთზე გადასახადის ფულით აკრეფას და 2). ხარაჯა მუკასემე - უშრის ანალოგიური გადასახადი, რომელიც დაწესებული იყო არამუსლიმ მოსახლეობაზე და იხდიდნენ ნატურით.

რაც შეეხება აჭარაში დაწესებულ ოსმალთა გადასახადებს და საგადასახადო სისტემას ძირფესვიანად განსხვავდებოდა ქართული სამამულო გადასახადებისაგან. ამ სისტემისა და გადასახადების შესასწავლად მნიშნვნელოვანი წყაროებია: ოსმალური დავთრები, კანონთა კრებულები, აზრა ოქმები, სებები, „ბათუმის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი“, ასევე „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ და ა.შ. დავთრების მიხედვით დგინდება, რომ ოსმალური გადასახადები გაწერილი ყოფილა სიმინდზე, ფუტკარზე, ხილზე, ღორზე, ბოსტანზე, თევზზე , ქორწილზე და ა.შ.

ისფენჯი დავთარში დამოწმებულ გადასახადთა შორის ძირითად გადასახადს წარმოადგენს „ ისფენჯი“, რომელიც დაკისრებული ჰქონდა არამუსლიმან მამაკაცს 25 ახჩის ოდენობით. გამუსლიმანებული კაცი იხდიდა 18 ახჩას, თუმცა შეცვლილი სახელწოდებით-ბენაქის საშუალებით. ამ გადასახადს აჭარის მხოლოდ ერთი სოფელი იხდიდა- ქოლობანი.

განსხვავებული რაოდენობით იკრიბებოდა ისფენჯი ზემო და ქვემო აჭარაში. ზემო აჭარაში- 7825 ახჩა, ქვემო აჭარაში-3875 ახჩა. გარდა ამ გადასახადებისა ემატებოდა სხვა გადასახადებიც და საერთო რაოდენობა 18485-ს შეადგენდა. ნ.დერჟავინის მიხედვით, ისფენჯი ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა. ამ დროს სანაცვლოდ წაყვანილ ბავშვთა უმეტესობას სტამბოლის ბაზარზე ყიდდნენ. მდიდრები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ამ გადასახადისთვის. ღარიბები კი შვილებს 10-12 წლის ასაკში აქორწინებდნენ, რადგან ახლადდაქორწინებულები არ მიჰყავდათ ჯარში. ამ გადასახადის გადახდა 1638 წელს შეწყდა. გ.ტივაძის ვარაუდით ისფენჯი ქრისტიან მოსახლეობაზე სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დაკისრებული გადასახადია, რომელიც თურქებმა არაბებისაგან გადმოიღეს იმ

განსხვავებით, რომ იგი ყველასათვის ერთიანი ოდენობით დააწესეს (ტივაძე, 1948 :138).

აჭარაში ისფენჯით სარგებლობა მასიური იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რეგიონში ბევრი ქრისტიანი იყო. ეს იყო ქრისტიან მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ ზემო და ქვემო აჭარის მცხოვრებლები. მისი აკრეფის დღე იყო 1 მარტი. შესაძლებელი იყო ისფენჯის გადახდისგან თავის დაღწევა იმ შემთხვევაში თუ მამაკაცი სამხედრო სამსახურში კარგად იქნებოდა ჩართული და თავს გამოიჩენდა: მთებზე გადასასვლელებისა და ხიდების დაცვით. ასევე თავისუფლდებოდნენ ისინიც, ვისაც დაკისრებული ჰქონდა სხვა განსაკუთრებული გადასახადი. მაგალითად: სომხეთის მოსახლეობა იხდიდა მურახასისეს, სწორედ ამიტომ ისინი ისფენჯისგან თავისუფლდებოდნენ.

თაფუ-გადასახადი გაიცემოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი ერთი მფლობელიდან მეორის ხელში გადადიოდა. პირდაპირი მემკვიდრე იყო შვილი, რომელიც მიწას ღებულობდა თაფუს გადახდის გარეშე, ხოლო თუ გარდაცვლილს მემკვიდრე არ დარჩებოდა ზუსტად ამ დროს ხდებოდა მიწის გადაცემა სხვისთვის თაფუს გადახდის საფუძველზე. კანონით არ იყო აკრძალული ქალიშვილისთვის მიწის გადაცემა თაფუს სანაცვლოდ, მაგრამ ამავე დროს ქალი იყო ვალდებული, რომ ეს მიწა დაუმუშავებელი არ დაეტოვებინა. თაფუს გადასახადი იცვლებოდა იმის მიხედვით თუ რა პირობებში იყო მიწა. საუკეთესო მიწა-50 ახჩა, საშუალო მიწა-30-40 ახჩა და უვარგისი 10-20 ახჩა. ამრიგად, თაფუ იყო გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ მეურნეობის გამო. როცა რაია მიწას თაფუს საფუძველზე იღებდა, მაშინ მიწის მფლობელის მიერ ხდებოდა თაფუს რეგლამენტაციაც მიწის ნაკვეთის ოდენობისა და ნაყოფიერების მიხედვით (ტივაძე,1848 :131-132).

მურახხასიეს გადასახადი წარმოადგენს საეკლესიო გადასახადს. ერთი სასულიერო პირის დაქვემდებარებაში არის ერთი ეკლესია, მათი მოვლისთვის დაკისრებული გადასახადები კი პატრიარქის ხაზინაში შედის. ეს გადასახადი გულისხმობდა ქრისტიანთა მიერ ეკლესიის შენარჩუნებასა და მღვდლის დაცვას.

აჭარის მოსახლეობა გადასახადებს იხდიდა ხორბალზე, მეფუტკრეობაზე, წისქვილზე, ქორწინებაზე. საქორწინო გადასახადს მუსლიმი ორჯერ ბევრს იხდიდა

ვიდრე არამუსლიმი. გასხვავებული იყო გადასახადი ქალის ოჯახური მდგომარეობის მიხედვით: თუ ქალი გასათხოვარი იყო იხდიდნენ-60 ახჩას, თუ ქვრივი-30 ახჩას.

დავთრები ცხადჰყოფს, რომ აჭარაში განვითარებული იყო მეღორეობაც. ამის დასტურია სოფელში ფიქსირებული გადასახადი ღორზე, რომლის ოდენობაც შეადგენს 4565 ახჩას. მეღორეობა წარმოებდა საკუთრივ ოსმალთა შემოსევების დროსაც.

გადასახადი დაკისრებული იყო ცხვრებზეც, რაც შეადგენდა 7661 ახჩას.

გადასახადებით იყო დატვირთული საზაფხულო საძოვრები- იალაღები. ასე იყო მთელ გურჯისტანის ვილაიეთზე და რა თქმა უნდა აჭარაში. ოსმალები იალაღებს ტოვებდნენ ხელუხლებლად ძველი მეპატრონეების ხელში, მაგრამ კანონის მიხედვით კრძალავდა მათ დამუშავებასა და შემოღობვას.

ყოველივე აღნიშნული იმის მტკიცებულებაა, რომ ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა მძიმე ტვირთად აწვა აჭარის მწარმოებელ საზოგადოებას . ამ გადასახადთა არსი მდგომარეობდა იმაში, რომ აეკრიფათ რაც შეიძლებოდა მეტი გადასახადი და დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ეკონომიკური ნება-სურვილები. ქრისტიანებს რა თქმა უნდა გაცილებით მეტის გადახდა უწევდათ, ვიდრე მუსლიმანებს. ოსმალები აწესებდნენ გადასახადებს ყველაფერზე, როგორც სამეურნეო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. აღნიშნული სიტუაცია მძიმე ტვირთად დააწვა ქართველ ხალხს, რამაც გამოიწვია გამოსვლები ოსმალებისა და ოსმალური გადასახადების წინააღმდეგ.

თავი III

ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ XVI-XIX საუკუნეებში

ოსმალეთის მიერ შავი ზღვის დაპყრობას მალევე თან მოჰყვა იმპერიის ამიერკავკასიაში გაბატონება და სამხრეთ-დასავლეთ საქართელოს ხელში ჩაგდება. აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლება და დედასამშობლოსთან დაბრუნების საკითხი დამოკიდებული იყო რამდენიმე ფაქტორზე. ეს ფაქტორებია: ოსმალეთის მდგომარეობა, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოს სამეფოს აღიარებასთან დაკავშირებით, ქართველ დიპლომატთა სვლებსა და რა თქმა უნდა ოსმალეთის კავკასიიდან განდევნაზე.

1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულებით და შემდგომ 1639 წლის ზოხაბის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართელოს ტერიტორიები გაიყვეს: „დაშთ ხონთქარსა იმერეთ და ქურთისტანის ნახევარი“ (ბატონიშვილი,1973 : 440).

საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკოსები სწორად აფასებდნენ იმ საფრთხეს, რაც მოსალოდნელი იყო ოსმალთგან და სწორედ ამიტომ მიაჩნდათ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისთვის საჭირო იყო კოალიციის შექმნა. კოალიციის წევრებს ერთად უნდა ებრძოლათ დამპყრობლის წინააღმდეგ. ქართული სამეფო-სამთავროები იმედის თვალით შესცქეროდნენ რუსეთის მთავრობას, იმდროინდელ კავკასიაში ძლიერ სახელმწიფოსა და ოსმალეთის მეტოქეს. რუსეთი ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმას იმ პირობით თანხმდებოდა თუ კოალიციაში ჩაებმებოდნენ: რომის პაპი, ესპანეთის მეფეები, ლიტვის მეფე და სხვანი. ანტიოსმალურ კოალიციას 1606 წლის 11 ნოემბერს ავსტრია გამოაკლდა, რამაც ოსმალეთი კიდევ უფრო გაამლიერა. ხოლო საქართველოში ყირიმელ თათართა შემოსევებმა კიდევ უფრო დაძაბა არსებული სიტუაცია.

ოსმალეთთან ურთიერთობის გამოსწორება სურდა თეიმურაზ პირველს, რაც მოჰყვა ირან-ოსმალეთს შორის დადებულ სტამბოლის ზავს, 1612 წლის 20 ნოემბერს. აღნიშნულ ზავამდე ოსმალეთი ფლობდა ახალციხეს, ხოლო ხელშეკრულებით შეინრაჩნუნა საქართელოს მიტაცებული ტერიტორიები. მეფე ცდილობდა ირან-

ოსმალეთს შორის არსებული დაპირისპირების გამოყენებას. ამ მიზნით ის დასავლეთში გადავიდა, რათა საერთაშორისო კავშირი შეექმნა. ამის დასტურია ელჩობის გაგზავნა გონიოდან სტამბულში.

თეიმურაზთან იყო შეთანხმებული გურიელი. ის ოსმალეთის საპასუხო ელჩობის ხელმძღვანელ ომარ ფაშას დაუზავდა და ხარკის გადახდაზე შეუთანხმდა. ეს მოხდა 1614 წლის 13 დეკემბერს. მომდევნო წელს დიპლომატმა ასეთივე პირობა დაადებინეს დადიანსაც (თამარაშვილი,1901:41). შეთანხმება ქართველი მთავრებისთვის წარმოადგენდა ქართველობის შენარჩუნების გარანტიას. თეიმურაზ მეფემ მისიონერების საშუალებით ევროპასთან დასაკავშირებელი ნაბიჯებიც გადადგა. მაგრამ ყველაზე დიდი იმედით მეფე რუსეთს შესცქეროდა, თუმცა ამაოდ.

საერთაშორისო ვითარება და სიტუაცია შეიცვალა, როცა სულთნის კარზე დაინიშნა დიდ ვეზირი მეჰმედ ფაშა. მან დაარწმუნა სულთანი ოსმან მეორე, რომ საქართველოს მეფე მიეწვია სტამბოლში. სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შესაქმნელად თეიმურაზმა მოიპოვა ოსმალეთისგან გარკვეული დახმარება, თუმცა მეფემ ეს არ მიიჩნია საკმარისად და მოსკოვში გაგზავნა არქიეპისკოპოსი თეოდოსი.

რაც შეეხება დასავლეთ საქართელოს, ის იდგა ძლიერი ოსმალეთის პირისპირ და ხან ზავით, ხანაც მედგარი ბრძოლით ინარჩუნებდა თავისუფლებას. სამხრეთ-დასავლეთ საქართელოს გამოხსნა ოსმალთაგან ერთგვარად დაკავშირებულია არჩილ მეორის სახელთან. ის აქტიურობდა იმერეთის ტახტის შესანარჩუნებლად წარმოებულ ომებში. გულანთებულ პატრიოტს მხარს უმაგრებდნენ თანამოაზრენი. მეფე არჩილი და მის ირგვლივ შემოკრებილი ადამიანები დიდ მნიშნვნელობას ანიჭებენ მწერლობაში ასახულ სინამდვილეს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იაკობ დუმბაძის ჩანაწერები, რაც დაკავშირებულია ეროვნული იდეების ღრმა განცდა-გააზრებასა და მწერლობაში გადატანასთან. მიტროპოლიტმა იაკობმა გაგზავნა ელჩობა რუსეთში, რის საშუალებითაც რუს პოლიტიკოსებს მიაწოდა ინფორმაციას, რომ მისი ეპარქია ახლოს იყო ქობულეთთან.

„ოსმალეთის ტბაზე“ - შავ ზღვაზე გაბატონებული ოსმალები ორი საუკუნის მანძლზე თავისუფლად დათარეშობდნენ. 1686 წლიდან დიდი ინტერესების მქონე ქვეყნებთან კავშირში რუსეთი ოსმალეთს სრუტეებისთვის ეომებოდა. აზოვის

დაკავებით პეტრე I-მა გახსნა ჩაკეტილი საზღვაო გზა ოსმალეთთან, რაც გულისხმობდა ნორმალურ ვაჭრობას ცალკეულ ქვეყნებთნ. მაგრამ, 1700 წელს კონსტანტინოპოლში დადებული ხელშეკრულებით რუსეთს მხოლოდ აზოვის ციხე-სიმაგრე და მომიჯნავე ტერიტორიები დარჩა, რაც მოგვიანებით დაკარგა. აღნიშნულ რთულ სიტუაციაში ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, რომ დიდი სახელმწიფოები პატარა საქართველოს ბედით დაეინტერესებინათ. განსაკუთრებული მცდელობით გამოირჩეოდნენ: თეიმურაზ პირველი, ვახტანგ VI, სულხან საბა ორბელიანი. ისინი იმედის თვალით შესცქერონდნენ ბრძოლაგამოვლილ პატრიარქ - დომენტი ბაგრატიონს, რომელიც 1737 წელს ქობულეთში მოსულა. ქართველი კათალიკოსის ბანაკში მაშინვე მისულან ეკლესიის მსახურნი, რომელნიც ქობულეთის თავდგირიძეთა სახლიდან გამოსულ ქრისტიანებს ედგნენ მხარში. კათალიკოსი მინდობია დარეჯან დედოფლის გუნდსა და მის ირგვლივ შეკრებილ მამულიშვილებს, რომლებიც ერთმანეთს უზიარებდნენ ბრძოლის მოტივებსა და მიზნებს. ასე წარმოიქმნა დომენტის, მისი ამალისა და დარეჯან დედოფლის მებრძოლ პატრიოტთა რაზმი. დასავლეთ საქართველოში ანტიოსმალური კოალიციის მეთაური იყო ალექსანდრე V. ალექსანდრე მეხუთემ მოიწვია ქუთაისში კრება, რომელსაც ესწრებოდნენ გურიელი, დადიანი, მეფე, დომენტი კათლიკოსი და სხვები. ამ შეხვედრაზე ძალიან ბევრი უთათბირიათ მეფესა და პატრიარქს.

ქართველი პოლიტიკოსები სწორად აფასებდნენ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას. 1739 წელს რუსეთმა აზოვი დაიბრუნა, მაგრამ ოსმალეთი კვლავ შავ ზღვაზე ბატონობდა. რაც შეეხება შავ ზღვაზე ქართველთა უფლებების აღდგენას, სწორედ მის ოსმალთაგან გამოხსნას გულისხმობდა, ამას კი დიდი ძალა სჭირდებოდა. ასეთი შესაძლებლობები სამეფო-სამთავროებს არ გააჩნდათ, რის გამოც ხშირად ატყდებოდათ თავს მასობრივი მიგრაცია.

გულანთებული ქრისტიანი პატრიოტებით გამოირჩეოდა იმ პერიოდის ქობულეთისა და ჩაქვის მოსახლეობა. თუმცა მათი გამოხსნა აშკარა აჯანყებებით ვერ ხორციელდებოდა და ფარულად ცდილობდნენ ებრძოლათ აჭარის დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად. ალექსანდრე V-მ კათალიკოსის რჩევით

ქობულეთელთა წინამძღვრად აირჩია დარეჯან თავდგირიძე. ქობულეთელ პატრიოტ ერისკაცთა და სამღვდელოების გუნდს მაშინ მესვეურობდა დარეჯან თავდგირიძე. გულანთებული მამულიშვილი ხშირად დადიოდა ალექსანდრე მეხუთესთან ელჩის სახით, რამაც გამოიწვია ქობულეთის მოსახლეობის გამხნევება-გაძლიერება. მეფეს კათალიკოს დომენტის რჩევით ქობულეთელ პატრიოტთა ხელმძღვანელი დარეჯან თავდგირიძე „ხელდებულად“ გაიხადა და წყალობა უბოძა (სიხარულიძე, 1998:5). ამან განაპირობა, ისიც, რომ ქობულეთი დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მებრძოლი ძალის მნიშვნელობას.

XVIII საუკუუნეში, როცა დარეჯან თავდგირიძე ელჩობას გზავნის იმერეთის ახალ მეფესთან ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ ქობულეთის ზღვისპირა ზოლში ქრისტიანობა მკვეთრადაა შესუსტებული. აღნიშნული პერიოდისთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს კინტრიშის სასახლეში გადახდილი ქორწილი, რომლითაც თავდგირიძეთა მმართველმა საკუთარი ბედი დაუკავშირა შარვაშიძის ასულს. ეს რა თქმა უნდა პოლიტიკურ მოტივებზე დაყრდნობილი ქორწინება იყო. ძმები შარვაშიძეები იყვნენ ოსმალთა სამსახურში და ფლობდნენ თითქმის მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს ყირიმიდან სამხრეთამდე. გიორგი თავდგირიძის დაქორწინება შარვაშიძის ასულზე გარანტია იქნებოდა იმისა, რომ თავდგირიძე დიდ გავლენას მოიპოვებდა. მაგრამ ამასთანავე შარვაშიძეებთან დამოყვრებისთანავე გიორგი თავდგირიძემ დაიწყო შარვაშიძეების პოლიტიკური კურსის გატარება, განუდგა ძველ ტრადიციებს, რამაც გამოიწვია განხეთქილება მამუკა თავდგირიძესა და გიორგი თავდგირიძეს შორის. ეს იყო დიდი განხეთქილება, რის გამოც მამუკა თავდგირიძე გაეცალა თავდგირიძეთა სახლ-კარს და აკეთში გადასახლდა (სიხარულიძე,1998: 6).

ზემოაღნიშნულმა დაპირისპირებამ შეასუსტა ქობულეთი და შეირყა ქრისტიანობის პოზიციები, სასწორი გადაიხარა მუსლიმანთა მხარეს, რა თქმა უნდა ამას უარყოფითი შედეგი ჰქონდა ქართველთათვის. აღნიშნულ მოვლენებს ეხება წერილი, რომელსაც დარეჯან თავდგირიძე გზავნის სოლომონ მეფესთან. ამ პერიოდის იმერეთს რთული მდგომარეობა ჰქონდა, რადგან მედგრად ჰქონდა მოკიდებული ფეხი ტყვეთა სყიდვას.

დასახელებული რთული პრობლემის აღმოფხვრას შეეჭიდა სოლომონ I. მან 1757 წლის 14 დეკემბერს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ხრესილის ომში, სადაც მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ქართველი თავადები, რომლებიც ოსმალებთან იყვნენ შეკრულნი. სოლომონმა აამაღლა ეკლესიის ავტორიტეტი, აკრძალა ტყვეთა სყიდვა, 1759 წელს აღადგინა საქუთათლო კათედრა, შეაშინა ტყვით მოვაჭრენი. ტყვეთა სყიდვის აკრძალვას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, როგორც ოსმალები, ასევე საკუთრივ ქართველები, რომელთათვისაც ტყვეების ყიდვა-გაყიდვა წარმოადგენდა საკმაოდ სარფიან შემოსავალს. საბედნიეროდ, სოლომონ მეფეს მალე გამოუჩნდნენ გვერდით გონიერი თანამზრახველები: აბაშიძეები, წერეთლები და სხვა დიდი გვარის წარმომადგენლებიც.

წარმატებული პოლიტიკის წარმოებას და ოსმალთა თარეშის შემცირებას სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირეები და საბრძოლო პოტენციალი. ძლიერ მოკავშირედ იმერეთის მეფე რუსეთს მიიჩნევდა, მაგრამ რუსეთი ამ დროს ერიდებოდა ხონთქრის გაღიზიანებას და ვერ ეხმარებოდა საქართველოს. ოსმალები დასავლეთ საქართველოში ზედიზედ ოთხჯერ შემოიჭრნენ 1760, 1761, 1763 და 1764 წლებში. აღნიშნული შემოსევები ჩვენს ქვეყანას ძვირი დაუჯდა მსხვერპლის, სამხედრო აღჭურვილობის განადგურების თვალსაზრისით, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა ჯანსაღმა სამხედრო ძალებმა მოახერხეს მტრის დამარცხება. აღნიშნულ ფაქტზე განრისხებული სულთანი საქართველოს აოხრებას მეზობელ საფაშოებს ავალებდა. სოლომონ პირველმა გაითვალისწინა ოსმალთა მმართველობაში მყოფი ქართველი პატრიოტების თხოვნა და ბათუმისკენ გაემართა. ამას მოჰყვა ოსმალთა ათიათასიანი კორპუსის ევროპიდან ბათუმში გადმოსვლა, რომელთაც 30 გემით სურსათი და საკვები პროდუქტები მოჰყოლიათ. იმერლებს ეს კორპუსი გაუნადგურებიათ, ხოლო ოსმალთათვის განკუთვნილ სურსათ-სანოვაგეს თავად დაჰპატრონებიან.

ბათუმში განცდილი მარცხის შეემდეგ, ოსმალთა ჯარი ჰასან ფაშას სარდლობით გურიაში გადასულა, იქ გადაუყენებია მამია გურიელი და გურიელად დაუსვამს მისი ძმა - გიორგი. 1765-1766 წლების ზამთარში ოსმალების წინააღმდეგ ქართველებს პარტიზანული ომები უწარმოებიათ. ქართველთა წარმატებით

გაბრაზებულ სულთანს 40-45 ათასიანი ჯარი სასწრაფოდ გამოუგზავნია დასავლეთ საქართველოში და დიდძალი თანხაც გამოუყვია მათთვის. დასავლეთში ოსმალები სხვადასხვა მხრიდან შემოიჭრნენ, ძირითადად ზღვისპირეთიდან, ქობულეთის გავლით. თავდაპირველად ქართველთა მედგარი შეტევა წარმატების მომტანი აღმოჩნდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აშკარად გამოიხატა ის რიცხვობრივი უპირატესობა, რაც ოსმალო დამპყრობლებს გააჩნდათ. ოსმალებმა იმერეთში ბევრი ციხე აიღეს და სოლომონის ნაცვლად ტახტზე თეიმურაზ ბაგრატიონი დასვეს. სოლომონ მეფე იმედს არ კარგავდა და დახმარების თვალით კვლავ რუსეთს შესცქეროდა, ეკატერინე მეორე კი ფორმალურად აქებდა სოლომონ მეფის პოლიტიკურ სვლებს, თუმცა რეალურად დახმარებას არ სთავაზობდა. მიუხედავად ყველაფრისა სოლომონ პირველმა ამიერკავკასიის მთიელების და იმერლების გაერთიანებული ძალით შეძლო ტახტის დაბრუნება.

ზემოჩამოთვლილი ლაშქრობები მძიმე ფურცლად დააჩნდა საქართველოს, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს. მტრის მრავალრიცხოვანი ჯარის აქტიურმა მიმოსვლამ უხეში კვალი დაამჩნია მეურნეობას, მართვის სისტემა საგრძნობლად მოშალა, ოსმალთა გარნიზონები ჩააყენა ბათუმში, ციხისძირსა და ქობულეთში არსებულ ციხე-სიმაგრეებში, ასევე იმერეთის მნიშვნელოვან ციხეებში. მოსალოდნელი დიდი ომის მოლოდინში მყოფმა სულთანმა გადაწყვიტა შერიგება და ახალციხის ფაშამ სულთნის დავალებით სოლომონ მეფეს ხმალი აჩუქა, რითაც დანაშუალის პატიება სთხოვა.

აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთს არ ჰქონდა სახარბიელო ურთიერთობა რუსეთთან. 1768 წელს, ნოემბერში დაიწყო რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი. რუსეთის მიზანი იყო მოეპოვებინა გავლენა შავ ზღვაზე და შესძლებოდა თავისუფლად ვაჭრობა. ის ცდილობდა ქრისტიან ხალხში ჩაენერგა ანტიოსმალური განწყობილება, შეადგინეს ქართველების ომში ჩაბმის გეგმაც, რომელსაც სოლომონ პირველი უნდა მიმხრობოდა. მეფეს რუსეთში მანამდეც ჰყავდა წარგზავნილი ელჩი - მაქსიმე აბაშიძე. ელჩობის მიზანი კი იყო, რუსეთისთვის დახმარების თხოვნა უცხოელ დამპყრობელთა - ოსმალთა წინააღმდეგ. საპასუხოდ რუსეთიდან დაბრუნდა გრიგოლ ქობულაშვილი. სოლომონ პირველმა გრიგოლს აცნობა, რომ ომში მხოლოდ

მას შემდეგ ჩაებმებოდა, როცა საიმპერატორო კარი საქართველოს დამხმარე ჯარს გამოუგზავნიდა. თუ ამ დახმარებას მიიღებდა მაშინ იმერთა მეფე 20 ათას კაციან ჯარს გამოიყვანდა. რამდენიმე დღეში სოლომონმა გრიგოლ ქობულაშვილი ერეკლე II-სთან გაგზავნა, ხოლო 26 მაისს თავადაც ჩავიდა. როგორც ჩანს მეფეები ერთობლივი ძალებით და რუსეთთან სახმედრო კავშირის გამოყენებით აპირებდნენ ტერიტორიების დაბრუნას. ჯარი დააკომპლექტეს მოსკოვის ქართველთა ახალშენებიდან გამოსული ჯარისკაცებისაგან. მათ ყურადღება უნდა მიექციათ: ციხეების ევროპული წესით გამაგრებაზე, დენთით მომარაგებაზე, ლაფეტიანი ქვემეხების მოხმარებაზე.

ქართველმა მეფეებმა კარგად გამოიყენეს შექმნილი ვითარება და დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად დაიწყეს ბრძოლები. სოლომონ პირველმა მტკიცედ მოკიდა ხელი ჯარის რეორგანიზაციის საკითხს და გადაწყდა, რომ მომავალი ბრძოლების მთელი სიმძმე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე გადატანილიყო. მეფის მხარი დაიჭირეს გურულებმა, გამოაჩინეს პატრიოტიზმი, რამაც განაპირობა ის, რომ ბრძოლებში გურულები საკმაოდ დიდი რაოდენობით იყვნენ. მაღალ პატრიოტულ განწყობილებას თან ახლდა სარწმუნოებრივ-იდეური სიმტკიცე, მოქნილობა, საზრიანობა და სხვა ბევრი ფაქტორი. ქვეყნის გადასარჩენად მტკიცედ შეკავშირებული ერისა და ბერის განაცხადია მოცემული ქობულეთის სოფლებიდან გამოგზავნილ წერილში მეფისადმი, რომელშიც ნათლადაა გადმოცემული ქობულეთელთა სულიერი კმაყოფილება და პატრიოტული სულისკვეთება. იგივე მოტივებით იბრძვიან გურულებიც.

განმათავისუფლებელი ბრძოლებისთვის სასარგებლო იყო ერეკლე მეფისა და სოლომონის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება, რაც მათ ერთიანობაზე მიუთითებდა. მტერი მათმა გაერთიანებამ შეაშფოთა. სამხრეთ საქართველოს გამოხსნის გეგმაში უმთავრესი იყო ახალციხის დაბრუნება. ოსმალეთთან ომის შემდეგ რუსეთმა განიმტკიცა პოზიციები სამხრეთში. 1774 წელს მან ფაქტობრივად შეიერთა ყირიმი, რადგან ზავის დადებისას ოსმალებმა მისი დამოუკიდებლობა აღიარეს. ზავის პირობებით ასევე განმტკიცდა რუსეთის ადმინისტრაცია ყაბარდოში. საერთო წარმატებაში თავისი წვლილი მიუძღვოდა საქართველოს, თუმცა

საყურადღებოა, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებაში დასავლეთ საქართველოს მხოლოდ 23-ე მუხლი შეეხო. მიუხედავად აღნიშნულისა 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი განთავისუფლების იმედს აღვივებდა დასავლეთ საქართველოში. სოლომონ პირველი გრ.პოტიომკინს ბათუმის მხარის შემომტკიცებას უსახავდა მიზნად. მართალია, იმერეთის მეფე ცდილობდა ბათუმის შემოერთების საქმეში ჩაერია რუსეთი, თუმცა სოლომონ პირველი დიდი იმედით უპირატესად მაინც ქართველ პატრიოტთა ერთადგომას შესცქეროდა. დიდი ხნის წინად ჩატარებული ჯარის რეოგანიზაცია მეფეს საშუალებას აძლევდა საბრძოლველად გამოეყვანა მრავალი ლაშქარი, როგორც იმერეთიდან, ასევე გურიიდან. მალევე გამოჩნდა ლაშქრობის საბაბი, ეს გახლდათ აკეთზე განხორციელებული ბანდიტური თავდასხმა. ნაჩქარევად მომზადებული ლაშქრობის მთავარი მიზანი იყო მდინარე ჭოროხს აქეთ ზღვისპირეთიდან ოსმალების განდევნა და ბათუმის, ციხისძირის, ჩაქვის, ქობულეთის დედასამშობლოსთან დაბრუნება, ხოლო შემდეგ აჭარისწყლის ხეობიდან მათი ფეხის ამოკვეთა (სიხარულიძე,1998:8).

გეგმის განხორციელებაში იმერთა მეფეს მხარში ედგნენ გურიის სამთავროს წარმომადგენლები. იმერთა ჯარებს სოლომონ I მიუძღვოდა, ხოლო გურიის რაზმს ვახტანგ გურიელი. 1784 წლის 4 მარტს ექვსი ათასამდე მეომარი გამოემართა ბათუმისკენ. ეს იყო ეროვნული ერთობის დემონსტრაცია, რომლის დროსაც განმანთავისუფლებელ, პატრიოტ არმიას ბრძოლა უწევდა გადაგვარებულ თანამემამულეებთანაც, რომლებიც ხარბდებოდნენ ოსმალთა მიერ ბოძებულ ჯილოდებსა და თანამდებობებს. ქობულეთელთა ძალისხმევით სოლომონ მეფის ჯარმა ქობულეთი აიღო და დაიკავა პეტრას ციხე. თუმცა, როგორც ჩანს ამ წარმატებამ მოადუნა ისინი და 9 მარტს, სოფ. ნაჭიშკრევის მიდამოებთან ქართველთა ლაშქარი ჩასაფრებულ ძლევამოსილ მტერს წააწყდა. ეს იყო მიტაცებული ქართული მხარეების გამოხსნის ყველაზე დიდი, მაგრამ სამწუხაროდ წარუმატებელი მცდელობა.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა რუსეთის საიმპერატორო კარზე ელჩების გაგზავნა. ელჩობა გაგზავნა დავით გიორგის ძემ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: მაქსიმე კათალიკოსი, სარდალ-სახლთუხუცესი

ზურაბ წერეთელი და მდივან-ბეგი დავით კვინიხიძე. ელჩობის მიზანს კვლავ აჭარის სტრატეგიული ადგილების დაბრუნება, აქ ვაჭრობის განვითარება, დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა და აღნიშნული მხარის მშვიდობიანად გამოხსნა წარმოადგენდა. ყოველივე ეს აღნიშნულია რუსეთში მყოფი იმერეთის სამეფოს დესპნის- ზურაბ წერეთლის წერილში - პოტიომკინისადმი. რუსეთი არ ჩქარობდა საქართველოს ამ კუთხით დახმარებას, რაც ართულებდა იმერეთის მეფის საერთაშორისო მდგომარეობას.

1786 წელს ოსმალებმა ბათომის, ფოთის და სხვა ციხეები გაამაგრეს. ბათომში-30 ქვემეხი დადგეს, ფოთში-40. გაზარდეს აქაურ მეციხოვნეთა რიცხვიც. ოსმალეთი რუსეთისგან მოითხოვდა საქართველოდან რუსთა ჯარის გაყვანას, რამაც ორი ქვეყნის ურთიერთობა ძალიან გაამწვავა და ომში გადაზარდა (Brinkner, 1873:15). 1789 წელს რუსეთში მყოფი იმერეთის დესპანი გაბაშვილი რუსეთის სამეფო კარს სთავაზობდა, რომ ბათუმსა და ახალციხეში კონსული დაენიშნათ, რათა ოსმალებს აღარ შესძლებოდათ დაფარული მტრობა და ასევე ტყვის გაყიდვა. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც აგრძელებდნენ რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობას. ხოლო, რაც შეეხება რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, ვახტანგ გურიელისგან ეკატერინე მეორის მფარველობითი სიგელის გაფორმების თხოვნას ახალი მომენტი იყო სამხრეთ დასავლეთ საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი ცხადს ხდის, რომ ქართული მხარეების გამოსახნელად წარმოებული ბრძოლები არ შეწყვეტილა მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში. ქართველი პოლიტიკოსები აქტიურად იბრძოდნენ სამშობლოდან მოგლეჯილი ტერიტორიების დასაბრუნებლად, რაც დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდათ. XVIII საუკუნის ჩათვლით წარმოებული თავგანწირული ბრძოლების პირდაპირი შედეგი იყო, ის რომ XIX საუკუნის კარიბჭესთან მდგომ ქართველ პატრიოტებს შორეულ ოცნებად აღარ ეჩვენებოდათ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების საკითხი.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება რუსეთ-ოსმალეთის ჭიდილის ფონზე მიმდინარეობდა. დასავლეთ

საქართველოს სამეფო-სამთავროების გეგმა ალექსანდრე პირველმა 1803 წელს დაადასტურა. რუსეთის მეფე წინასწარ სინჯავდა ნიადაგს თუ როგორ შეხვდებოდა ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების სტატუსის ცვლილებას. აღნიშნულ პერიოდში გურიის სამთავროს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მთავრობასთან. ვახტანგ გურიელს ციციანოვისთვის დაუსაბუთებია, რომ მისი მამა ეკატერინე მეორის ხელდებული ყოფილა. გარდა ამისა გურიელს წარუდგენია საგარეო პოლიტიკის პროგრამა, რაც ითვალისწინებდა გურიის უწინდელი სამფლობელოების დაბრუნებას. რუსეთის მთავრობა აქტიურად აშენებდა გურიის ტერიტორიებზე ხიდებსა და გზებს, რათა კავშირი ჰქონოდა ოსმალეთის იმპერიისკენ მიმავალ გზასთან. ამასთანავე, რუსეთს უყურადღებოდ არ რჩებოდა საქართველოს შავიზღვისპირეთი და ბათუმი, რასაც ვაჭრობის განვითარება-გაფართოებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდა. 1804 წლის 26 აპრილს რუსეთის ელჩს დავალებული ჰქონდა ყურადღება გაემახვილებინა ქრისტიანებით დასახლებულ ბათუმსა და დასავლეთში არსებულ სხვა ნავსადგურებზე. განმათავისუფლებელი ბრძოლების უმთავრესი ამოცანების გადაჭრა უპირველესად მოითხოვდა ხსენებული ციხესიმაგრეებისა და ნავსადგურების დაბრუნებას. ამ სტრატეგიული ადგილების საქართელოსთვის შემოერთება სასიკეთო გავლენას მოახდენდა რეგიონში სახალხო-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. გარდა ამისა სამცხესა და რუსეთს ჰქონია აქტიურ კონტაქტი, რაზეც მიუთითებს სელიმ ფაშასა და შერიფ ფაშას მიერ გაგზავნილი წერილებიც. შერიფ ფაშას ჯერ კიდევ 1802 წელს ჰქონდა მიწერ-მოწერა გენერალ ლაზარევთან. იგი მეგობრობას აღუთქვამდა გენერალს, თუმცა ეს იყო ფორმალური დაპირება, სინამდვილეში შერიფ-ფაშა სულთნის ერთგული იყო (მეგრელიძე, 1963:20).

აჭარა სელიმ ხიმშიაშილს დაექვემდებარა. სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი ახალციხის ფაშა იყო 1803-1809 და 1812-1815 წლებში. ვიდრე ფაშა გახდებოდა ის იყო ზემო აჭარის სანჯაყ-ბეგი. „ აბდულ ბეგის სიკვდილის შემდეგ აჭარის მმართველი გახდა მისი შილი სელიმი, ახალციხის ვალობა კი 1800 წელს ათაბაგ ჯაყელების შთამომავალმა შერიფ ფაშამ მიიღო. შერიფ ბეგსა და სელიმ ფაშას შორის ურთიერთობა უკმაყოფილებით დაიწყო. სელიმ ბეგი სათავეში ჩაუდგა აჭარის მოსახლეობის ბრძოლას ახლციხის ფაშის წინააღმდეგ, 1801 წელს მათ შორის ომი

გაჩაღდა, რომელიც ორი წლის შემდეგ სელიმის გამარჯვებით დასრულდა. სელიმ ბეგი ახალციხის მმართველი გახდა და ფაშობაც მიიღო“ (მეგრელიძე, 1963:19).

სელიმ ხიმშიაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში მყოფ რუს მოხელეებთან. იგი თბილისშიც ჩასულა და ციციანოვთან ჰქონია საუბარი სამხრეთ საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობაზე და თურქეთისგან გამოყოფაზე (მეგრელიძე, 1963:20). რუსეთის მოხელეებს მისთვის გარკვეული რაოდენობის თანხებიც მიუციათ. ფაშას საუბარი გაუმართავს რუსეთის ჯარების უფროსთან, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დახმარების მოთხოვნით. თუმცა ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად რუსეთთან კარგი ურთიერთობისა სელიმ ფაშა მხარს არ უჭერდა რუს-ქართველთა მიერ ერთობლივი ძალის საფუძველზე ფოთის გამოხსნას: „1804 წლის 15 ნოემბერს, სელიმ ფაშას მიერ, პ.ციციშვილისადმი გაგზავნილი წერილიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი მხარს არ უჭერდა რუს-ქართველთა ერთობლივ ძალისხმევას ფოთის დასაბრუნებლად. სამხრეთ საქართველოს ბეგების ერთი ნაწილი აშკარად დაადგა რუსეთთან კონფრონტაციის გზას, დაიწყო ანტირუსული ოპოზიციური ძალებისადმი დახმარება“. გარდა სელიმ ხიმშიაშვილისა, ანტირუსული ხასიათის ჩამოყალიბებაზე მიუთითებს, ისიც, რომ 1811 წლის აპრილში ტრაპიზონის სერასკირი სულეიმან ფაშა, არზრუმის სერასკირი მაჰმადი და ქობულეთელი ალი-აღა ცეცხლაძე მამია გურიელთან გზავნიან ბაირახტარ იუსუფ გეგიძეს, რომელიც გურიელს ამცნობს, რომ საფაშოები შეკავშირდნენ რუსეთის წინააღდეგ და გურიის მთავარსაც მოუწოდებნდნენ ანტირუსულ ომში ჩართულიყო. ეს წერილი მამია გურიელს რუსეთის ხელისუფლებისთვის უჩვენებია და კავშირი დაუმყარებია სელიმ ხიმშიაშილთან, რათა მოსალოდნელ თავდასხმას ერთობლივი ძალით გამკლავებოდნენ. ეს იყო პროოსმალური ძალების ჩანაფიქრი, რომელიც არ განხორციელდა, რადგან მათი საბრძოლო გეგმა გაამხიალა სელიმ ფაშას ვაჟმა. ამ ფაქტის შემდგომ სელიმ ფაშას კონტაქტი და ურთიერთობა რუსეთთან განმტკიცდა. 1813 წელს სელიმ ხიმშიაშვილი სოლომონ მეორესა და მამია გურიელს მოყვრობისა და ერთგულებისკენ მოუწოდებდა. 1810 წლის მარტიდან სოლომონ მეორემ დაიწყო აშკარა გამოსვლების რუსეთის წინააღმდეგ, ფართო კავშირი გააბა მეზობელ საფაშოებთან. მიუხედავად იმისა, რომ სელიმ ფაშას უკვე კარგი ურთიერთობა

ჰქონდა რუსეთთან ის მაინც მაშინვე ქართველ მეფეებს მიემხრო, რუსეთის საწინააღმდეგო პოზიციის გასამყარებლად მან აჭარიდან ახალციხეში მრავალი მებრძოლი ჩაიყვანა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამის პარალელურად სელიმ ხიმშიაშვილს დიპლომატიური კონტაქტი ტორმასმოვთან კვლავ ჰქონდა. (ვარდმანიძე, 2013:24) ამ ფაქტთან დაკავშირებით გენერალ ტორმასოვისთვის 1810 წლის 22 დეკემბერს სიმონოვიჩს მოუხსენებია, რომ აჭარა, ლივანი და ბათუმი სოლომონ მეფის გვერდით იბრძვიან და გამოდიან რუსეთის წინააღმდეგ. სულთანსაც დაუხმარებია ჯარები სოლომონ II-სთვის. ასევე მეფეს მიმხრობია მრავალი ქობულეთელი.

რუსეთის ხელისუფლება მომხრე იყო მისდამი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული საქართველო გამთლიანებულიყო და გაერთიანებულიყო. რუსთა მხედრობის მხარდამხარ მებრძოლი ქართველები კარგად მოქმედებდნენ და ცდილობდნენ არა მარტო მონაწილეობის მიღებას განმანთავისუფლებელ ბრძოლებში, არამედ ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხის გამოხსნასაც. სელიმ ფაშას მიზანიც სწორედ ის იყო, რომ ებრძოლა მიტაცებული მხარეების დასაბრუნებლად. ამ თვლსაზრისით მას შემწედ რუსეთი ესახებოდა. ეს მამაცი მებრძოლი და ჩინებული ორგანიზატორი 1815 წელს მის დასასჯელად პორტას მიერ გამოგზავნილ ბაბა-ფაშას ფეჰლევანის სამხედრო ექსპედიციას ემსხვერპლა. ამ ექსპედიციის დროს წყდებოდა სელიმ ხიმშიაშვილის მემკვიდრეების ახმედ და აბდი ბეგების გადარჩენის საკითხი. ისინი მამია გურიელის აქტიური მოღვაწეობით გურიაში გადაიყვანეს. გურიელი მეგობრობდა, სელიმ ხიმშიაშვილთან, რამაც გამოიწვია ისიც, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნის საქმეში აჭარას დიდი მნიშვნელოვა ენიჭებოდა. სელიმ ხიმშიაშვილის დასჯის შემდეგ ბაბა-ფაშა ახალციხეში გადავიდა და რუსეთის ხელისუფლებას მკაცრად მოსთხოვდა დასავლეთის დატოვება. რა თქმა უნდა კვლავაც აქტუალური და უდიდესი მნიშვნელობის მქონე იყო აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების საკითხი. გურიის მთავარს სელიმის მემკვიდრეების გადარჩენა მიაჩნდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ და საამისოდ ძალას არ ზოგავდა. მას მიაჩნდა, რომ სელიმ ფაშას ტრაგედიის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველი მეთაური აღარ ჰყავდა.

სელიმ ფაშას მემკვიდრეების საკითხის მოსაგვარებლად მამია გურიელი დაუკავშირდა მთავარმმართებელსა და იმერეთის მმართველს. მისი ინიციატივით აბდი და ახმედ ხიმშიაშვილები გურიის მთავრის კარზე მიიყვანეს. გურიის მთავარი ზრუნავდა, რომ პოლიტიკური დევნილები რუსეთის ხელისუფლებასთან დაეკავშირებინა, სწორედ მისი რჩევით აჭარის ახალგაზრდა ბეგებმა ითხოვეს აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლისა და მთავარმართებელთან შეხვედრის ნება. ამ საქმის მოსაგვარებლად კი 1815 წლის 13 ივლისს შეადგინეს სათხოვარი და გაატანეს ხაზინადარ მუსტაფას. გურიელის რჩევა-დარიგებით დაიწყო ძმები ხიმშიაშვილების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან, ამის დასტურია მისი წერილი, რომელიც გაგზავნილი იქნა მთავარმართებელთან: „თქვენო აღმატებულებავ! - წერდა მამია გურიელი რუსეთისაგან იმერეთში მოვლენილ მმართველს,- როდესაც დაბრუნებულ თქუენის მაღალაღმმატებულებიდან ჩემს სამთავროში გიახელ, მაშინ ბრძანებისამებრ თქუენისა გამოვუხადე და ვურჩიე მე სელიმ ფაშის შვილებს ახმედ ბეგს და აბდი ბეგს თქუენთა წამოსვლა, რომელი თვითოეულს სურთ თქვენი ხლება და მთხოვეს მე პირველად თქუენთან კაცისა და ყოლილი ხაზინადარი მუსტაფა აღა გაახლეთ. ამათი ვედრება, რაც არის ვგონებ, იმათი პირით მოგახსენებენ და შემდგომად, რაც თქუენი ბრძანება მოუათ და ინებებთ, მეც ისე ვურჩევ, თუმც იმათ აჭარლები ხშირად უგზავნით კაცს და პირდებიან ბუნტობას ვიქმთ და ისევ შენ მოგიყვანთო, სხვა კაცის დაჯდომა ჩუენს ქვეყანაშიდ არ იქნებაო, მაგრამ მე არ ვურჩევ, რომ ჯერ დრომდის წავიდნენ და ენდონ“ .

აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე ძმები ხიმშიაშვილების მიზანი მამისეული საპატრონოს დაუფლება და აჭარის საქართველოსთან შემოერთება - შემომტკიცება იყო. საყურადღებოა ასევე ცნობები, რომლებიც ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ აჭარლები უცხო მმართველს არ შეეგუებოდნენ და ისევ თავისივე კუთხის შვილს აირჩევდნენ მმართველად. 27 ივლისს მამია გურიელს მოუვიდა წერილის პასუხი ძმები ხიმშიაშვილების შესახებ, რომელშიც რტიშჩევი წერდა: თანახმა ვარ შევიფარო სელიმ ფაშას ვაჟები, თუმცა სჯობს ჯერ ისინი გურიაში დარჩნენ თქვენს მფლობელობაშიო. ფაქტობრივად ამით კატეგორიულად იკრძალებოდა აბდი და ახმედ ბეგების ახალციხეში გადაყვანა. ეს მიუთითებს

რუსეთის მხრიდან ფრთხილი პოლიტიკური კურსის გატარებაზე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთს არ სურდა ოსმალეთის გაღიზიანება. ძმების ახალციხეზე გალაშქრება კი ჩაითვლებოდა რუსეთ-ოსმალეთის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევად. რის გამოც ისმალეთი აუცილებლად გადაიხდიდა სამაგიეროს.

სელიმ ფაშას ვაჟებმა მიაშურეს მშობლიურ კუთხეს და მამის მიერი მოღვაწეობა გააგრძელეს. ისინი სელიმ ხიმშიაშვილის მსგავსად ცდილობდნენ რუსეთთან ურთიერთობა გაეღრმავებინათ, მაგრამ რუსეთი კი ნაწილ-ნაწილ ცდილობდა დაექვემდებარებინა სამხრეთ საქართველო. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო „ბათუმის საქმე“, სადაც მრავალი შეხვედრა-მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყდა, რომ ამ ქალაქში შერვაშიძეთა შთამომავალი დაესვათ.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან რუსეთის დიპლომატები ხონთქრის კარზე უფრო ხშირად და ენერგიულად ცდილობდნენ დაესვათ საკითხები, იმის შესახებ თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა გააჩნდა სამხრეთ საქართველოს სავაჭრო ნავსადგურებს. 1828 წლის 26 ივლისს პასკევიჩი ყურადღებას აქცევს ბათუმის ნავსადგურის დაბრუნებას, რომლის მსგავსი ნავსადგურიც არ არსებობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. კავკასიის ჯარების მთავარსარდალი იმპერატორისაგან მოითხოვდა ნებას, რომ რუსეთს შეერთებოდა ახალციხის საფაშო. ეს ფაქტი საქართველოს გამთლიანების საქმეში საკმაოდ დიდ როლს ითამაშებდა, დაისადგურებდა სიმშვიდე და ქართველთა მთელი ყურადღება გადატანილი იქნებოდა ბათუმზე და აჭარის შემოერთებაზე. ბათუმის დაბრუნება ერთგვარი გარდამტეხი მომენტი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგანაც ბათუმი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნავსადგურს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედ-იღბლის შეცვლა რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენდა 1828-1829 წლებში მიმდინარე ომში რუსეთსა და თურქეთს შორის. აღნიშნული ამოცანის შესრულებას პასკევიჩი ვარაუდობდა რუსეთის სამხედრო ძალების მინიმალური ოდენობის გამოყენებით. საომარი მოქმედებების გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბათუმის საკითხს, რადგანაც ბათუმი იყო ცნობილი, როგორც საუკეთესო პორტი შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით

გემების გამოსაზამთრებლად, მაგრამ მისი გამაგრება უმნიშვნელოა, მას არ აქვს დიდი განზომილება სამხედრო თვალსაზრისით, აქ კლიმატიც დამღუპველი ყოფილა. პასკევიჩი იუწყებოდა, რომ ბათუმის დაკავებით საზღვრებს გაჭიმავდა.

გადაიკვეთა რუსეთ-საქართველოს მიზნები. ორივე მხარე აქტიურობდა და სამხედრო კამპანიებს ხშირად აძლევდნენ მიმართულებას ბედრკული საქართველოს შვილები. 1828 წლის მაისში ოსმალებმა ომი გამოუცხადეს რუსეთს, მანამ, სანამ დაიწყებდნენ საომარ მოქმედებებს დაიჭირეს: ფოთი, ბათომი, ახალციხე, ყარსი, არტაანი და სხვა მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტები, სტრატეგიულად მოსახერხებელი კვანძები და სამიმოსვლო გზები. ხონთქარმა კავკასიის მთავარ ფრონტზე ჯარების მთავარსარდლობა დააკისრა ჰალიბ-ფაშას. ის იმედიანად შესცქეროდა კავკასიის მთლიანად დაპყრობას. რუსეთი კი ამ ომში რამდენიმე სავაჭრო პუნქტის დაკავებას ლამობდა (ანთელავა, 1957:53)

1828 წლის 14 ივნისს პირველი იერეში მიიტანეს ყარსზე. პასკევიჩი უსვამდა ხაზს, რომ ახალციხის დაბრუნებით საქართველომ მიიღო სამშვიდობო გარანტია. იმავე წლის აგვისტში რუს-ქართველთა ლაშქარი იბრძოდა ახალციხის მიდამოებში, რომლის გარნიზონსაც კიოს ფაშა ხელმძღვანელობდა, ხოლო ციხის უფროს კი გახლდათ სელიმ ფაშას ვაჟი ფერხადი. ომის ბედი, რომ სწრაფად გადაეწყვიტათ პასკევიჩის სარდლობით ოსმალთა მეციხოვნეები ველზე გაიტყუეს და რვა საათიანი ბრძოლის შემდეგ რუსეთ-ქართველთ მხედრობამ მათ იარაღი დააყრევინა. 15 აგვისტოს ახალციხის გარნიზონმაც დაყარა იარაღი და ახალციხეც საქართველოს შეუერთდა. ეს იყო დიდი პერსპექტივა ჩვენი ქვეყნისთვის, რასაც მოჰყვა 17 აგვისტოს - აწყურის ციხის განთავისუფლებაც. რუსეთ-საქართველოს ჯარები პასკევიჩის ბრძანებით ტრაპიზონის გასალაშქრად დაიძრა. ქართველები ორგანიზებულად მოქმედებდნენ, რამაც გამოიწვია მთავარსარდლის შეშფოთება. მან ჯარების შესაჩერებლად უგზოობა მოიმიზეზა. ახალციხის, ახალქალაქისა და აწყურის დაბრუნება, ასევე ყარსზე შეტევა საქართველოსთვის წარმატების საწინდარი იყო და თავიმხვრივ გულისხმობდა დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შემოერთების მოახლოვებასაც. მაგრამ, რა თქმა უნდა ყოველივე ზემოჩამოთვლილს თან ახლდა სირთულე, რუსეთის მთავრობის მხრიდანაც, მაგალითად: ომის

პერიოდში რუსეთმა დაისახა მიზნად გურიის სამთავროს გაუქმება, რასაც ხელი შუწყო იმ გარემოებამაც, რომ მამია გურიელი გარდაიცვალა.

დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების სურვილი არ ცხრებოდა, ამ მიზნით საქართველოს გაერთიანებული ჯარები სამხრეთისკენ დაიძრნენ. ფოთი ალყაში მოაქციეს და 12 დღიანი ალყის შემდეგ გარნიზონს იარაღი დააყრევინეს. ეს იყო 1828 წლის 15 ივლისს, რის შემდეგაც სამხრეთ-დასავლეთ საქართელოს საზღვაო გემებიც განთავისუფლდნენ. ფოთის განთავისუფლება მნიშნელოვანი იყო, რადგან აქედან შეიძლებოდა როგორც საზღვაო ბრძოლების წარმოება, ასევე მანევრირება. მიღწეული წარმატების მიუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დღის წესრიგში იყო გურიის სამთავროს გაუქმების საკითხი. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ შეუძლებელი იყო გურიის სამთავროს დიდხანს ეარსება. ამ კონკრეტულმა შემთხვევამ გურიის დედოფალ სოფიოს უბიძგა იქითკენ, რომ დახმარება ეთხოვა ოსმალეთისთვის. გაიყო გურიის თავადაზნაურობა: გრიგოლ გურიელი, გიგო, ვახტანგ და სიმონ ერისთავები - ანტირუსულ ძალას გამოეყვნენ და ჩოხატაურში რუსეთის არმიას შეუერთდნენ. ამის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო პასკევიჩის გაფრთხილება, სადაც ის გურიის ხალხს მიმართავდა, რომ დედოფალი სოფიო აუცილებლად დაისჯებოდა პროოსმალური ორიენტაციის გამო. აღნიშნული გარემოება, რომელიც ერთი მხრივ რუსეთის მხარეს აყენებდა საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ ოსმალთა მხარეს რთულ და უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ზოგიერთ ქართველ პატრიოტს. ზოგი თავადი გურიის დედოფალს ედგა მხარში. აღნიშნულ სიტუაციას კარგად იყენებდა აჭარის ბეგი ახმედ ხიმშიაშვილი. ის ექომაგებოდა გურიის დედოფალს.

აღნიშნულ რთულ სიტუაციაში საქართველოსკენ მოემართება რუსი გენერალი კ.გესე. ის ავრცელებდა ხმებს, თითქოს გურიის დედოფლის დასახმარებლად მოდიოდა. სწორედ ამიტომ მას სოფელ ნაგომარში წარუდგა ქობულეთის მხარის, სოფ. ზემო ჭახათის მამასახლისი ასლან აღა, რომელმაც აცნობა გენერალს ქობულეთელთა სამხედრო მზადყოფნა და მათი გულმხურვალე განზრახვა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შესახებ. თუმცა რუსმა გენერალმა ქობულეთელ ელჩს განუცხადა, რომ მას სურდა ქობულეთის უბრძოლველად შემოერთება.

ურთიერთობა ვერ მოგვარდა. 1828 წლის აგვისტოში, აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე სთხოვდა რუსეთის მთავრობას, რომ ნება დაერთო თავის ჯარებს დაეკავებინა ქობულეთი. მაგრამ უშუალოდ ქობულეთის ბეგები: ასლან და მეჰმედ თავდგირიძეები მოითხოვდნენ, რომ მათი სამფლობელო რუსეთს დაეკავებინა.

1828 წლის 1 ოქტომბერს დედოფალმა სოფიომ 8 თავადითა და 56 მსახურით გადალახა გურიის საზღვარი და ოსმალეთში გადავიდა. დედოფალი დამხამრე ძალებს იწვევდა ოსმალეთიდან და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას მიიჩნევდა განმანთავისუფლებელ ბრძოლად. ქართველ პატრიოტთა დიდი ნაწილი კი კვლავ რუსეთს ემხრობოდა, მასთან აქტიურად თანამშრომლობდა, რათა წარმატებით განეხორციელებინათ წინაპართა ანდერძი ქვეყნის გამთლიანების შესახებ.

ივლისში გურიას შემოესია 4 ათასიანი ჯარი ოსმალეთიდან. მოხალისეებმა ჩაკეტეს როგორც გზები ისე გზაჯვარედინები და მოახერხეს კიდეც შემოსულთა უკუგდება. 30 ოქტომბერს გენერალმა გესემ გურიის სამთავრო დაიკავა. ამრიგად, ეს იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის საწყისი ეტაპი, როცა რუსეთი დიდ წარმატებას აღწევდა. შემდგომში დიდი წვიმებისა და ზამთრის გამო საომარი მოქმედებები შეჩერდა.

ი. პასკევიჩმა 1829 წლის საბრძოლო გეგმა გააცნო ნიკოლოზ პირველს. გადაწყდა ბათუმის სამხედრო ბაზის განადგურება, რათა ოსმალეთს არ შესძლებოდა ზღვით გურიისა და ახალციხის მოქმედ ჯარზე დახმარება. ბათუმთან ერთად იგულისხმებოდა აჭარისწყლის ხეობის დაუფლებაც. თუმცა, ეს კარგად ორგანიზებული გეგმა 1829 წლის თებერვალში ჩაიშალა აჭარის ბეგი- ახმედ ხიმშიაშვილის გალაშქრების შედეგად. ბეგი არ კარგავდა იმედს, რომ მამისეული მემკვიდრეობა უნდა დაებრუნებინა და აქტიურად იბრძოდა როგორც ზღვისპირეთის, ისე ახალციხის მიმართულებით. 1829 წლის თებერვლის დასაწყისში იგი 7 ათასამდე მებრძოლით დაიძრა ახალციხისკენ, მის დასახმარებლად ოსმალებმა სხვა მხარეებიდანაც გამოგზავნეს ჯარები. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ჯარებს ამ პერიოდში ისინი ბუკისციხეში იდგნენ და იცავდნენ აჭარიდან გადმოსასვლელ ბილიკებსა და გზებს. გარდა ამისა რუს-ქართველთა ასეულები იდგა: ნაგომარში, ჩოხატაურში, ლიხაურში, ასკანაში და ცდილობდნენ ეპიზოდურად აღეკვეთათ

შემოსევები. როცა ახალციხეს მიუახლოვდნენ ახმედ ბეგმა ძალები გადაანაწილა, საავალიშვილოს დასაცავად გაგზავნა თავისი ძმა- აბდი ბეგი, რათა ქართლიდან სამცხეზე მიმავალი გზა ჩაეკეტა. ახმედ ბეგის ჯარის გამოჩენა სამცხესთან ყველასათვის მოულოდნელი იყო. კავკასიის მთავარსარდალი გააოგნა იმ ფაქტმა, რომ აჭარელთა შეიარაღებული რაზმი ზამთრის პირობებში ძალიან კარგად მანევრირებდა. ახმედ ბეგმა ახალციხის უფროს გენერალ ბებუთოვს უბრძანა ახალციხის დატოვება. რაც შეეხება აბდი ბეგის არმიას, ისინი რუს-ქართველთა მხედრობამ დაამარცხა.

ზემოაღნიშნული მდგომარეობის გამო გენერალ გესეს უბრძანეს ჯარით ლიხაურიდან აჭარაში გადასულიყო. გენერალმა კი 22 თებერვალს გასცა ბრძანება აჭარისკენ გალაშქრების, თუმცა დიდთოვლობის გამო ეს ლაშქრობა უშედეგო აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ გესე ქობულეთისკენ დაიძრა.

ახალციხისკენ გალაშქრებულ ახმედ ბეგს ოსმალებმა ეს ნაბიჯი ჩაუთვალეს ოსმალეთისადმი ერთგულებად და ფაშობა უბოძეს. მართალია ახალციხისთვის ბრძოლაში ახმედ ფაშა დამარცხდა, მაგრამ ის ოსმალთა სამსახურში დაწინაურდა. რაც შეეხება ქობულეთისაკენ დაძრულ გენერალ გესეს, აცნობეს, რომ გურიას ოსმალები მოადგნენ და იქ გაჩაღდა ტყვეთა გატაცება და თარეში. ოსმალთა ამ გამოლაშქრების მიზანს წარმოადგენდა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრისკენ მიმავალი გზის გადაჭრა და მასში გარნიზონის ჩაყენება.

ოსმალთა რაზმს მეთაურობდა ქეი-ოღლი. ის ბათუმიდან მოვიდა 3000 მეომრით. დადგა ლიმანის ციხესა და შემოგარენში, სადაც მას ჭანეთიდან, ჩაქვიდან და ქობულეთის სხვადასხვა სოფლებიდან იძულებით მობილიზებული 500 მეომარი მოუვიდა. ამის გარდა ის ელოდებოდა 10 000 -იანი კორპუსის მოსვლას. მან ბრძანა საზღვრების გამაგრება და ადგილობრივი ოჯახებიდან მძევლების აყვანა. ქალები და ბავშვები მთებში გაახიზნინა. გენერალმა გესემ გადაწყვიტა მტრის ძალები გაეთიშა და 1829 წლი 3 მარტს რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი შეკვეთილში მივიდა. 4 მარტს კი გესე მუხაისტატისკენ გაემგზავრა, მისმა რაზმმა გადალახა მდ.ნატანები და ზღვისპირით ქობულეთს მიადგა.

გურიის მოხალისეებს ევალებოდათ ჭაობიან და ტყიან ადგილებში მოძრაობა და მტრის ზურს უკან მოქცევა. როცა მტერი სამი კილომეტრით დაშორდა მათ სროლა ატეხეს. ოსმალები ამან დააბნია და ტყეში გაიქცნენ. ბრძოლა გაგრძელდა 4 საათი და რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის გამარჯვებით დასრულდა. აიღეს ლიმანის ციხე. ოსმალებმა ბრძოლის ველზე დიდი ქონება დატოვეს. ამ გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი გახდა ქობულეთისაკენ შეტევის განვითარება, თუმცა, რუსმა სარდალმა ეს დავალება შესრულებულად ჩათვალა და უკან გაბრუნდა. ამ დროს ახმედ ფაშა ახალციხიდან ბათუმში დაბრუნდა. ქობულეთში კი გრძელდებოდა მოწინააღმდეგე ჯარების გაძლიერება, ოსმალთა კორპუსმა მიაღწია 18 ათასს, მაგრამ ვერავინ ბედავდა რუსეთის საზღვრად აღიარებული ხაზის გადაკვეთას. მთავარმართებელმა პასკევიჩმა გესეს დაავალა, რომ პარტიზანული ომები გაეჩაღებინა ახმედ ფაშას საზღვრების შესაჩერებლად. ახმედ ფაშა კი აჭარისკენ გაემართა და ხულოში დაბანაკდა. ქობულეთში მოქმედ ჯარებს ამ დროს ოსმან ფაშა მეთაურობდა.

ივლისის თვეში ოსმალთა ყურადღება მიიქცია არზრუმმა და მასში განვითარებულმა მოვლენებმა. ქობულეთში მოქმმედი ჯარების ნაწილი არზრუმში გაიწვიეს. ოსმალთა ჯარების გადაჯგუფებამ გესეს მდგომარეობა შეუმსუბუქა და რუსეთის მთავრობამ სცადა აჭარის საკითის მშვიადობიანად მოგვარება. აჭარაში ხშირად გზავნიდა წარმოამდგენელს ბებუთოვი, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმება არ მომხდარა, არც მძევლების საკითხი გადაწყვეტილა. ბებუთოვი გადაყვანილი იქნა ერევანში, თუმცა მას გააჩნდა მრავალი ინფორმაცია ხიმშიაშვილთა გვარის შესახებ, რითაც შეძლებდა დაპირისპირება მოეწყო ხიმშიაშვილთა გვარში. მაგალითად ბებუთოვის წერილებში საუბარია სელიმ ფაშას მემკვიდრეებზე.

აჭარის ბეგთან მოლაპარაკებები განაგრძო ახალმა გენერალმა ოსტენ-საკენმა. ოსტენ-საკენის პროვოკაციულმა მოქმედებამ სერიოზული გავლენა მოახდინა აჭარის მიმართულებით ომის მსვლელობაზე. მოსახლეობა, რომელიც ომის დაწყებამდე რუსეთის ჯარს სიხარულით ელოდა ოსტენ-საკენის მოქმედებამ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ აამხედრა (მეგრელიძე, 1963:34). მისმა წარმოამდგენლებმა ორ კვირაზე მეტი დაჰყო აჭარის მმართველთან, თუმცა ვერ მიიღო ზუსტი პასუხი, იმის შესახებ

თუ რეალურად რა ორიენტაციის იყვნენ აჭარის წარმომადგენლები. ახმედ ბეგი აპირებდა მძევლად გაეგზავნა ბიძა- სულეიმანი, თუმცა გადაიფიქრა. რუსეთის მმართველი არ იშურებდა საჭირო ტაქტსა და მოხერხებას აჭარის საამაყო მმართველის მიმართ. მოლაპარაკება გაჭიანურდა და მალევე ამ მოლაპარაკებას გამოეთიშა თავად ახმედ ბეგი, თუმცა პასკევიჩი ცდილობდა არ შეეჩერებინა მოლაპარაკებები. ასე ურჩევდნენ მას ქართველი მოღვაწეებიც, რომლებიც კარგად იცნობდნენ აჭარის მმართველის ხასიათსა და ამ კუთხის დიდ მნიშნვნელობას სამხრეთ საქართველოსთვის ბრძოლაში. ამ პერიოდში ქობულეთში მყოფი ტუხჩი ოღლუ აძლიერებს ანტირუსულ განწყობილბას ქობულეთელთა შორის. რაზმით დგება მუხაისტატეს სიმაღლეზე და თვალ-ყურს ადევნებს მოვლენების განვითარებას. ოსტენ-საკენმა ვერ შეძლო მოლაპარაკების სწორად წარმართვა, სწორედ ამიტომ, გადაწყვიტა ძალით გაეტეხა მამაცი მთისშვილები. მაღალმთიან აჭარაში შეჭრილ რაზმს მოსახლეობამ წინააღმდეგობა არ გაუწია, თუმცა ახმედ ფაშამ არ ისურვა გენერალთნ შეხვედრა, ხოლო მისმა მეუღლემ დუდი ბეჟანიძემ წერილით მიმართა გენერალს. ვერც დედოფლის წერილმა ვერ მოალბო გაავებული გენერლის გული (მეგრელიძე, 1963:57) მან მიიღო ყოვლად მიუღებელი გადაწყვეტილება და ბრძანება გასცა, რომ სოფლებისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ.

ბარონ ოსტენ-საკენს 15 და 16 აგვისტოს ეახლა აჭარელთა დელეგაცია, რომელმაც უსაყვედურა ასეთი თავხედობისთვის და მოსთხოვეს აჭარის საზღვრების დატოვება. ახმედ ფაშა შუახევიდან ემუქრებოდა გენერალს, ხოლო მოსახლეობა მომსვლელებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. შუახევისკენ დაძრული რუსთა ჯარი მთებით შემოსაზღვრულ ხეობაში შესვლითანავე შედრკა. ალყაში მოქცეული გენერალი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია. ახმედ ფაშამ გენერალ ოსტენ-საკენს გზა გადაუჭრა სოფელ დიდაჭარასთან (ჭიჭინაძე 1916: 27). მაგრამ გენერალი და მისი რაზმი ისევ ადგილობრივმა მეგზურმა ფოცხოვში მიიყვანა. ამ დროს მთავარმმართებელმა ქობულეთში მყოფ გესეს ბათუმისკენ გალაშქრება უბრძანა. გესემ ვერ შეძლო ქობულეთელთა დაყოლიება და ოსმალთა წინააღმდეგ გამოყვანა. ქობულეთელთა დაყოლიებას და მათთან მშვიდობიან ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აჭარისა და ბათუმის საკითხის მშვიდობიანად გამოხსნისათვის. ლოგიკურია რუს-ქართველთა ჯარებს ბათუმში გაუჭირდებოდათ,

რადგან მუხაისტატეში და აჭარაში არსებულ მრავალ ციხე-სიმაგრეში მტკიცედ იყო გამაგრებული თუხჩი ოღლუს რაზმები.

1829 წლის ივლისში გენერალმა გესემ თავისი რაზმები გურიიდან გამოსული მოსახლეობით დააკომპლექტა და ბათუმისკენ გამოლაშქრება გადაწყვიტა. მისი გეგმით უნდა ემოქმედათ ორი მიმართულებით. ერთ რაზმს ზღვისპირეთით უნდა ელაშქრა, ხოლო მეორეს ლეღვათი, თუმცა ეს გზა ტუხჩი ოღლუს ადრე დაეკავებინა და ჩაეკეტა. 1829 წლის 4 აგვისტოს რუსთა ჯარებმა ბილიკებით დაიწყეს მოძრაობა, მათ წინ მიუძღვოდნენ სპეციალურად შერჩეული ტყის მჭრელები გადასასვლელების გასაწმენდად. თუმცა გზის გაფართოვება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა ვიდრე ეგონათ, მაგრამ ჯარმა თავი დააღწია ამ რთულ გზას და 6 აგვისტოს ბრძოლა დაიწყეს.

მუხაესტატეს სიმაღლეზე რუსთა ჯარს ელოდა 2000 ოსმალო და 600-მდე მობილიზებული აჭარელი. გენერალმა რეგულარულ ჯარს მათთვის ცეცხლი გაახსნევინა, ხოლო მოხალისეებს უბრძანა რომ ზურგით მიეტანათ იერიში. მტერი შედრკა და მთებისკენ დაიწყო სვლა. გაიმარჯვეს რუსებმა და გამარჯვების სანაცვლოდ მიიღეს ოსმალთა პოზიციები, დროშები და ნადავლი. ამ ბრძოლაში არაერთმა ქართველმა მოხალისემ გამოიჩნა თავი. რაც შეეხება ოსმალთა მარცხს, ამ დამარცხებამ დააფრთხო ქობულეთ-კინტრიშში მდგომი ოსმალთა რაზმები. მათი მდგომარეობა კიდე უფრო გააუარესა იმ ფაქტმა, რომ მათ შეუტია რუს-ქართველთა ლაშქარმაც, რათა არ შეერთებოდნენ ერთმანეთს და წინააღმდეგობა არ გაეწიათ რუს-ქართველთა რაზმისთვის.

8 აგვისტოს კინტრიშის მახლობლად გამოჩნდა გენერალი გესე, მას აცნობეს, რომ ოსმალებს ციხე-სიმაგრე მიუტოვებიათ. ეს ციხე-სიმაგრე მეორე დღესვე დაუკავებიათ რუს-ქართველთა ლაშქარს. კინტრიშში მდგომ გენერალს სწვევიან მამასახლისები ქობულეთის სოფლებიდან, რომლებსაც უცნობებიათ, რომ თანახმა იყვნენ ოსმალთა ქობულეთიდან გაყრაზე და მორჩილებას აღუთქვამდნენ. ოსტენ-საკენზე ახმედ ფაშას გამარჯვებამ მის მომხრეებს შეჰმატა მხნეობა, ისინი ხალხს მოუწოდებნდნენ დახმარებოდნენ ახმედ ფაშას. ახმედ ფაშა ზემო აჭარიდან ბათუმისკენ გამოემართა. აღნიშნულ პერიოდში მთავარსარდალი პასკევიჩი

ქობულეთში მდგარ გესეს ავალებდა, რომ აჭარის მოსახლეობასთან გამოეჩინა რაც შეიძლება დიდი შეუპოვრობა, გამართულიყვნენ ახმედ ფაშას რაზმისაკენ, ასევე აჭარლებისთვის ოსმალეთთან დამაკავშირებელი გზა გამოეცალათ, რათა ვერ მიეღოთ სამხედრო თვალსაზრისით დახმარება. ყოველივე ეს რთულ მდგომარეობაში ჩააგდებდა, როგორც აჭარის მოსახლეობას, ასევე თავად ახმედ ფაშას, რაც აიძულებდა მას სასწრაფოდ მოეთხოვა რუსეთის მფარველობაში შესვლა.

ბათუმისკენ გალაშქრების ცნობით გახარებულნი იყვნენ ქართველი პატრიოტები, რადგან ფაქტობრივად ეს იყო ძირძველი ქალაქის ოსმალთგან გამოხსნის კონტურები. შეიქმნა განმანთავისუფლებელი ბრძოლის ხელშემწყობი სურვილები. მოსახლეობის ყველა ფენა ცდილობდა თავისი წვლილის შეტანას აღნიშნული დიადი საქმის განხორციელებაში. მამაკაცების გვერდით ქალებიც იდგნენ, ე.წ მოწყალების დები, მათ შორის განსაკუთრებულია გურიელის ქვრივი დედოფალი მარიამ ორბელიანი. რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ბათუმისკენ დაიძრა. მათ გადალახეს მდ.აჭყვა, კინტრიში, დეხვა და ციხისძირში შეიჭრნენ. სარდალი აპირებდა გვერდი აევლო ამ სიმაგრისთვის, რადგან ის კარგად იყო გამაგრებული. 15 სექტმებერს რუსული გემის პეგასის საშუალებით ქვემეხები დაუშინეს ციხე-სიმაგრეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. მხოლოდ წინა ციტადელი მოანგრიეს. ხოლო 17 სექტმებერს, გათენებამდე ნახევარი საათით ადრე უშუალოდ ციხის სიღრმის განადგურება დაიწყეს. ოსმალები გააფთრებით იბრძოდნენ და იცავდნენ თავს. რუს-ქართველთა ჯარი მუდმივად იერიშზე გადადიოდა. მოიერიშეთა ნაწილი დაიჭრა, ნაწილი დაიღუპა, ზოგიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ტყვიების წვიმაში ენერგიულად მოქმედებდნენ მოწყალების დები.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ რუს მეთაურთა თავდაჯერებულობამ ტრაგიკული განაჩენი გამოუტანა ქართველთა თავდადებას. გარდა ამისა, ამ ბრძოლამ აჩვენა ოსმალთა მზაკვრული ხასიათი და მიდგომა აჭარის მიმართ. ამ პერიოდს განეკუთვნება 1829 წლის 2 სექტმებერს, ადრიანოპოლში დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითც ბრძოლები უნდა შეეწყვიტა, როგორც რუსთს, ასევე ოსმალეთს. თუმცა ეს ცნობა ციხისძირში ერთი თვის დაგვიანებით მივიდა. ციხისძირთან დამარცხება კავკასიის ყველაზე წარუმატებელ ბრძოლადაა მიჩნეული.

თუმცა დიდი მნიშნვლეობა ჰქონდა ახალციხის დედასამშობლოსთნ დაბრუნებას. რაც შეეხება აჭარას, სამწუხაროდ აჭარის და ბათუმის გათავისუფლება მთელი ნახევარი საუკუნით დაგვიანდა.

§ 1. სელიმ ხიმშიაშვილი

„მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით,რომ

გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას

მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების საკითხზე საუბრისას რთულია გვერდი ავუაროთ ისეთ დიდებულ პიროვნებას, როგორიც სელიმ ხიმშიაშვილია. XVIII საუკუნის ბოლოს გაძლიერდა ოსმალეთის იმპერიის დაშლის პროცესი. სამხედრო-ლენური სისტემა კრიზისს განიცდიდა, რამაც გააუარესა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური ცხოვრება. ხოლო, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას თან მოჰყვა ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესი. მსხვილმა ფეოდალებმა დაიწყეს განდგომა, ხოლო არათურქულმა პროვინციებმა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. აჯანყების დროშები აღიმართა: ბალკანეთში, ეგვიპტეში და ერაყში. ასევე სამაჰმადიანო საქართველოში. სხვა რაიონებთან ერთად ახალციხის საფაშო ადმინისტრაციულად იყო ძალიან ვრცელი ოლქი, რომელშიც შედიოდა აჭარა, როგორც სანჯაყი. აჭარის მოქცევა ოსმალთა გავლენის ქვეშ,როგორც აღვნიშნეთ დაიწყო XVI საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობის გამო იქ ოსმალებმა მტკიცედ დამკვიდრება ვერ მოახერხეს. სწორედ ამის გამო XIX საუკუნის დასაწყისში აჭარა ოსმალეთის ნახევრად ვასალური პროვინცია იყო, რომელსაც ქართველი ბეგები- ხიმშიაშვილები განაგებდნენ.

ოსმალეთში არსებობდა თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემის სისტემა. თანამდებობა ყველა ადამიანს ეძლეოდა სულთნის მიერ გაცემული სპეციალური ფირმანით. ეს წესი რა თქმა უნდა მუდმივ მორჩილებაში ამყოფებდა გამგებლებს. ეს ასე იყო მაშინ, როცა ოსმალთა იმპერია იყო ერთიანი და ძლიერი. ხოლო როცა მისი ერთიანობა მოიშალა ცხადია თითოეული მმართველი ცდილობდა თანამდებობის დასაკუთრებას და მის გადაქცევას მემკვიდრეობითად. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა იყო აჭარაში. მართალია აჭარაც დაიპყრეს ოსმალებმა, მაგრამ აჭარისწყლის ხეობა თავისი სტატუსით განსხვავდებოდა სხვა დაპყრობილი რეგიონებისაგან. რადგან იქ სუსტად იყო დამკვიდრებული ოსმალთა გავლენა და

შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლება უფრო დამოუკიდებელი იყო. სანჯაყის მმართველი- სანჯაყბეგი ადმინისტრაციიულად კი ემორჩილებოდა ახალციხის ფაშას, მაგრამ ამავდროულად სარგებლობდა საკმაო პრივილეგიებით. ამ საკითხთან დაკავშირებით იმის თქმაც კი საკმარისია, რომ ოსმალეთის შიდა პროვინციებში, არსებული წესისგან განსხვავებით, სახელმწიფო მიწებიდან მიღებული შემოსავლის გარკვეულ ნაწილს თავად ისაკუთრებდა და რაც მთავარია ჰქონდა თანამდებობის მემკვიდრეობით გაცემის უფლება (ავალიანი 1962:56).

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა დააჩქარა ხიმშიაშვილთა ეკონომიკური გაძლიერება, რასაც მალევე მოჰყვა მათი პოლიტიკური აღზევება. ეს პროცესი კი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ახალციხის ფაშების ხელისუფლების შესუსტების შემდეგ. ამ დროს სანჯაყ-ბეგები იბრძოდნენ საფაშოს ტახტის ხელში ჩასაგდებად. ცხადია მათ არ ჩამორჩნენ ხიმშიაშვილები, კერძოდ კი აქტიურად იბრძოდა საკუთარი სახლის განდიდება-გაძლიერებისკენ სელიმ ხიმშიაშვილი. ის მალე უმაღლესი ჩინის ფაშაც გახდა. ეს მოხდა 1803 წლის 21 სექტემბერს (სურგულაძე, 1986:9). ეს პროცესი ასუსტებდა იმპერიის ძლიერებას და აჩქარებდა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის თვითშეგნების გამოფხიზლება-ამაღლებას. ახალციხის საფაშოს ტახტისთვის ბრძოლაში სელიმ ხიმშიაშვილმა გაიმარჯვა, რამაც ის აქცია ვრცელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ბეგლარ-ბეგად. მას გააჩნდა სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება, ასევე იმ ტერიტორიაზე, რომელსაც თავად მართავდა გააჩნდა განუსაზღვრელი უფლებები. სელიმ ხიმშიაშვილი სწორად აფასებდა იმ პერიოდის საქართველოსა და საკუთრივ ჩვენი რეგიონის ბედს და აჭარის დედასამშობლოსთან გამოხსნის იმედით რუსეთს შესცქეროდა. თუმცა, რუსეთთან კავშირი სელიმს უნდა ჰქონოდა 1807-1809 წლებში. ამის საფუძველი იყო რუსეთ-ოსმალეთის ომი 1806-1812 წლებში, კერძოდ კი 1807 წელი, როცა საომარ მოქმედებებში არ ჩართვის გამო მას ოსმალეთის მთავრობა ეჭვის თვალით უმზერდა. ადრე სულთანს აღიზიანებდა სელიმის დაუმორჩილებლობა, ახლა კი მისი პასიურობა ბრძოლისას შეეძლო ღალატად ეცნო. ასეთ მძიმე ვითარებაში სელიმ ხიმშიაშვილს რუსეთი მიაჩნდა დამხმარე ძალად, რომლის გარეშეც საფაშოს ტახტს ვეღარ შეინარჩუნებდა. ზ.ჭიჭინაძის სიტყვით, თითქოს

სელიმ ხიმშაშვილი შეხვედრია მთავარმართებელ ციციანოვს თბილისში და გამოუთქვამს ახალციხის რუსეთთან შეერთების სურვილიც (ჭიჭინაძე, 1910:75).

სელიმ ხიმშიაშვილის ურთერთობა რუსეთთან ერთი შეხედვით ხელსაყრელი ჩანდა რუსეთისთვისაც, რადგან ჯერ გეორგიევსკის ტრაქტატმა, შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ ამიერკავკასიაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია რეგიონში. ისახებოდა იდეები თუ როგორ გაეგდოთ რუსები. იქ გაიჩინეს თავშესაფარი ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებით უკმაყოფილო ბატონიშვილებმაც, რომლებიც მომხრეთა დარაზმვას და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას გეგმავდნენ. ამ სიტუაციაში ახალციხის ფაშის გულის მოგება და ურთერთობის ნორმალიზაცია რუსეთს განუმტკიცებდა პოზიციებს ამიერკავკასიაში.

1806 წლის 30 დეკემბერს დაიწყო ირან-ოსმალეთის ომი. ომის ასპარეზს წარმოადგენდა კავკასია და ბალკანეთი. კავკასიის ფრონტმა ქართველი ხალხის აღფრთოვანება გამოიწვია, რადგან რუსეთის გამარჯვება დააჩქარებდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გამოხსნას ოსმალთა ბატონობისგან. მართლაც, კავკასიის არმიას გუდოვიჩის სარდლობით სამხრეთით და დასავლეთით მოქმედებისას დაევალა ახალქალაქ-ხერთვი-ასპინძა-ყარსისა და ფოთის შემოერთება, რათა ახალციხე საბოლოოდ მოეწყვიტა ოსმალეთისგან და მას თავად დაუფლებოდნენ. (ტივაძე, 1946:214-215). სელიმ ხიმშიაშვილი ოსმალეთის დიდმოხელე იყო და ცხადია, რომ ომის შემთხვევაში მოუწევდა ჯარით გამოსვლა. ასეც მოიქცა, 13 იანვარს დიდი ჯარით აწყვერისაკენ წავიდა, რათა ქართლისთვის შეეტია, თუმცა ლაშქრობამ შედეგი ვერ გამოიღო. სელიმ ხიმშიაშვილი უკან გაბრუნდა. ამასობაში რუსთა ჯარი მოადგა ყარსს, ახალციხის ფაშა კი აპირებდა მტრისთვის ზურგიდან შეეტია. ცხადია ეს მძიმე სიტუაციაში ჩააყენებდა რუსებს. ამიტომ, 6 თებერვალს მას სელიმ ხიმშიაშვილი მიუგზავნეს ელჩად. არ არის ცნობილი, თუ რაზე ისაუბრეს სელიმ ხიმშიაშვილმა და კათოლიკე ქართველებმა, მაგრამ ფაქტია, რომ ელჩის წასვლიდან სამი დღის შემდეგ სელიმ ფაშა ძალიან ავად გახდა, ავად გახდომა კი შესანიშნავი საბაბი იყო იმისათვის, რომ ის არ წასულიყო საომრად.

ასეთ პირობებში, კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ ახალციხის ფაშას შესთავაზა რუსეთის მფარველობა. ირკვევა, რომ სელიმ ხიმშიაშვილსაც სურდა

რუსეთთან დაკავშირება და მათ მფარველობაში შესვლა. კავკასიაში მყოფ რუსულ ხელისუფლებასთან არსებული საეჭვო კავშირის და ფრონტზე უმოქმედობის გამო სელიმ ხიმშიაშვილმა დაკარგა ოსმალეთის მფარველობა, იგი მოღალატედ სცნეს და ალაჰის სამსჯავროზე მას თავის მოჰკვეთა ელოდა.

ოსმალეთთან დაძაბული ურთერთობის გარდა სელიმს არ ჰქონდა დალხენილი ვითარება არც საფაშოს შიგნით, პირიქით ტახტის მემკვიდრეობისათვის ბრძოლამ, მკაცრმა რეჟიმმა და მძიმე გადასახადებმა მას მოსახლეობის დიდი ნაწილი აუმხედრა. ამაზე მიუთითებს ცნობა "ახალციხური ქრონიკები", სადაც საუბარია რომ სოფლები იდგნენ ოლქად. ოლქა იგივეა, რაც აჯანყება. ე.ი ქვეყანაში მღელვარება იყო დაწყებული. გარდა ახალციხური ქრონიკებისა არსებობს ზეპირსიტყვირებაში მოხსენიებული სახალხო გმირი ჩახალოღლი, ანუ მემედ ბერიძე. მღელვარება სუფევდა თავად სელიმ ფაშას სახლშიც. მას მოულოდნელად აუჯანყდა შვილი. რა თქმა უნდა ისედაც არსებულ რთულ ვითარებაში შვილის განდგომა-ამბოხება სელიმ-ფაშასთვის მეხის გავარდნასავით ცუდი მოვლენა იყო. მდგომარეობას ამძიმებდა ის ფაქტი, რომ შვილი მამისგან მოითხოვდა ტახტს და საამისოდ შეუკავშირდა სული ბეგ ლივანელს -შერიფ ჯაყელის დისშვილს. ექვსი ათასიანი ლაშქარი ახალციხისკენ დაიძრა. სელიმ ფაშა ხელისუფლებას ვერ განამტკიცებდა თუ არ აღმოფხვირდა განხეთქილებას საკუთარ ოჯახში. ის დაუპირისპირდა შვილის არმიას და დაამარცხა კიდეც, მაგრამ ამ ტრაგიკულმა აქტმა შეარყია სელიმის ადრინდელი ავტორიტეტი.

რთულ ვითარებაში ჩავარდნილ სელიმ ფაშას ერთადერთ იმედად კვლავ რუსეთი ესახებოდა. 1809 წლის მაისში იგი დიდი სიხარულით შეხვდა კავკასიის ახალ მთავარმართებლის-ტორმასოვის დესპანს - მაიორ ჯორჯაშვილს და შესთავაზა, რომ რუსეთის მფარველობაში შევიდოდა თუ კი შეუნარჩუნებდნენ ფაშობას, სახელსა და მეკვიდრეობას. ჯორჯაშვილს გააყოლა თავისი ელჩიც, რომელიც პირადად შეხვდა მთავარმართებელს. ორივე მხარემ დააზუსტა მმართველობაში შესვლის პირობები. მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა სელიმ ხიმშიაშვილი ტრაქტატზე ხელმოწერას. ამ მიზნით ახალციხეში გაემართა პოლკოვნიკი პეტრე ორბელიანი, რომელსაც დოკუმენტთან ერთად მიჰქონდა იმპერატორის დაპირება სელიმ ხიმშიაშვილთან, რაც გულისხმობდა გენერალ-ლეიტენანტის ჩინის ბოძებას.

ცხადია რუსეთის მფარველობაში შესვლის პრინციპებსა და პირობებს კარგად იაზრებდა სელიმ ხიმშიაშვილი. ის ცნობდა რუსეთის ხელისუფლების უზენაესობას და ერთგულ სამსახურს აღუთქვამდა მას. სანაცვლოდ კი რუსეთი თავის შემადგენლობაში დაუშვებდა ჯერ თავად სელიმ ხიმშიაშვლის დროინდელ ახალციხის საფაშოს, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრეების მეთაურობით, გარდა ამისა, რუსეთს სელიმი უნდა დაეცვა გარე მტრებისგანაც- ძირითად შემთხვევაში გარე მტერში იგულისხმებოდა ოსმალეთი. ამრიგად, ახალციხის საფაშოს ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა. სელიმ ხიმშიაშვილი კი იყო ის პირველი ადამიანი, რომელმაც არამხოლოდ სიტყვიერად არამედ საქმითაც აჩვენა, რომ აღარ აპირებდა ოსმალთა კლანჭებში ცხოვრებას. ამის განხორციელება ქართველი ხალხისთვის იქნებოდა უდიდესი ბედნიერება, რადგან მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდა ისტორიული მიწა-წყალი და აღსდღებოდა ისტოირული საზღვრები, მოიშლებოდა ლეკთა საბუდარი, შეიზღდებოდა ტყვეთა სყიდვა. სამწუხაროდ ყოველივე ჩამოთვლილი დაგვიანებული აღოჩნდა, რადგაც გამოჩნდა შერიფ ჯაყელი. ის დაეუფლა ახალციხეს და დაიწყო წარმატებით საქმეთა განხრციელება. შეირიგა მთავრები,ქრთამი ჩაიტანა სტამბულში და ნდობა აღდგინა. 1809 წლის ნოემბერში შერიფ ჯაყელმა დაამარცხა სელიმი და საფაშო ტახტი დაისაკუთრა.

შერიფთან დამარცხებული სელიმი დაუბრუნდა მშობლიურ აჭარას და საგვარეულო ხიხანის ციხეში ჩადგა. პოლკოვნიკი სიმონოვიჩის ცნობით თითქოს სელიმი იჯდა თავის მამულში და საბრძოლო ასპარეზზე არ აქტიურობდა თუმცა ეს იყო ტყუილი, რადგან სელიმი სინამდვილეში აპირებდა მოწინააღმდეგეთა ყურადღების მოდუნებას. მართლაც ასე მოხდა. 1810 წელს მან დიდი თოვლის მიუხედავად გადაიარა წიფნარ-ღირმან-ჩეგილი და 2 მარტს აჭარელთა 7 ათასიანი ლაშქრით ალყა შემოარტყა შერიფ ფაშას რეზიდენციას, სოფ.სხვლისს. ბრძოლა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სხვადასხვა ცნობის თანახმად სელიმ ფაშას შერიფ ფაშა ძალიან შეუვიწროვებია, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხებულა დიდი ზარალის ფასად. სამწუხაროდ, რუსეთის მმართველობაში ახალციხის შესვლის ეს ცდა კვლავ ჩაიშალა.

სელიმ ფაშას არ სურდა დანებება, ის მუდმივად ცდილობდა ტახტის დაკავებას. ამ მიზნით ის დაუკავშირდა კავკასიის ხელისუფლებას, დაუდასტურა რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილი და სანაცვლოდ ითხოვდა შერიფ ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას. სელიმმა ამ საქმეში გურიელებიც ჩარია, რომლებმაც ტორმასოვს გადასცეს სელიმის თხოვნა, იცხის ციხეში-500 მეციხოვნის ჩაყენების თაობაზე. სანაცვლოდ კი სელიმი ხელს მოაწერდა სამმართველო ტრაქტატს და ამის განსამტკიცებლად ერთ-ერთ შვილს მისცემდა მძევლად.

კავკასიის რუსული ხელისუფლება დადებითად შეხვდა ამ წინადადებას და სელიმს გააგებინეს, რომ ტრაქტატზე ხელს მოაწერდნენ და სელიმს ასევე დაეხმარებოდნენ ფულითა და ჯარით, თუმცა მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს იყო გულწრფელი სურვილი.

საქმეს არაფერი აბრკოლებდა, აჭარის სანჯაყ-ბეგთან გაგზავნეს პ.ორბელიანი. თუმცა მოლაპარაკებამ კვლავ უშედეგოდ ჩაიარა. 1810 წლეს კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ სოლომონ მეორე შეიპყრო და გააუქმა იმერეთის სამეფო. აღნიშნულ პირობებში სელიმ ხიმშიაშვილი ვეღარ მიენდო შემოთავაზებულ ტრაქტატს, რადგან იმერეთთან გაფორმებული სამფარველობო ხელშეკრულების გაუქმებამ ცარიზმისმიერ და მეფის ღალატით შეპყრობამ სრულიანად სამართლიანად აღუძრა მას ეჭვები. სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც პოლიტიკოსს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოს მაგალითზე უნდა დაენახა, რომ ცარიზმი ადრე თუ გვიან გამოავლენდა მტაცებლურ ბუნებას და არც დანარჩენი საქართველოს დამოუკიდებლობას მოითმენდა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე სელიმ ხიმშიაშვილმა შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა და დათმობაზე გადავიდა. გადაწყვიტა სანჯაყ-ბეგის თანამდებობა მაინც შეენარჩუნებინა და სწორედ ამიტომ შეურიგდა შერიფ-ფაშა ჯაყელს. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ შერიგების თხოვნით ჯერ კიდევ 1810 წლის მაისში მისულა ჯაყელის 2 მოხელე მასთან. ამავე წლის 22 დეკემბერს გენერალმა სიმონოვიჩმა აცნობა ტორმასოვს მხარეთა დაზავების შესახებ. მთავარმართებელს ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს ორი მხარე ნამდვილად დაზავდა, თუმცა 1811 წლის 24 იანვარს ეს წინადადება დაადასტურა იმერეთის მმართველმა : „სელიმი ნამდვილად შეურიგდა შერიფ ფაშას“, რის საფუძველზეც ტორმასოვმა ირწმუნა

ჯაყელისა და ხიმშიაშვილის მეგობრული კავშირის ნამდვილობა. მიუხედავად შერიფ ფაშასთან დაზავებისა სელიმ ხიმშიაშვილი ბოლომდე კეთილგანწყობილი დარჩა რუსეთისადმი და ამას საქმით ადასტურებდა, ამის მაგალითია 1809 წლის ნოემბერში დიდი ბრძოლების გაჩაღება ახალციხისთვის. საფაშოს სანჯაყ-ბეგები აქტიურად იცავდნენ ახალციხეს. ცხადია, ასეთი სამსახური ევალებოდა სელიმ ფაშასაც და საშუალება ეძლეოდა ახლა მაინც გამოესყიდა ადრინდელი დანაშაული, მაგრამ მან ეს არ ისურვა. ფაქტობრივად მან საკუთარი მთავრობის წინაშე კიდევ ერთი ღალატი ჩაიდინა, რითაც გარკვეულწილად რუსების მხარი დაიჭირა. 1811 წლის თებერვალში სელიმმა აცნობა გენერალ სიმონოვიჩს შერიფ ფაშისა და ტრაპიზონის სერასკირის შეთანხმების შესახებ სოლომონ მეფისთვის ჯარის გაგზავნის თაობაზე. თან მისწერა წერილი, რომელშიც აუწყებდა რუსეთის მთავრობას, რომ შეეძლო ამ საქმის ჩაშლა თუ 100 ქისა ფულს გაუგზავნიდნენ და იქნებოდა მომარაგებული. ეს იყო მნიშვნელოვანი გზავნილი რუსეთისთვის, რადგან მას საშუალება ეძლეოდა ემოქმედა.

კავკასიის სამხედრო ადმინისტრაცია სინანულს გრძნობდა სელიმ ხიმშიაშვილის დაკარგვის გამო, თუმცა მის დახმარებას ერიდებოდნენ. რაც შეეხება რუსეთის დამოკიდებულებას, რუსეთი სელიმ ფაშას უყურებდა როგორც საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად საჭირო ძალას და სრულიადაც არ ფიქრობდა, თავად სელიმის ზრახვებზე, პირიქით სელიმ ბეგისგან ყოველთვის ცალმხრივი ნაბიჯის მოლოდინში იყვნენ. ტორმასოვი სიმონოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ საწყენი იქნებოდა თუკი სელიმს ნდობა გაუქრებოდა. ამიტომ მოუწოდებდა ქვეშემრდომებს, რომ მასთან კეთილმეგობრული ურთიერთობა გაეგრძელებინათ. ტორმასოვის მიზანი იყო სელიმ ხიმშიაშვილი დაერწმუნებინათ იმაში, რომ რუსეთი ნამდვილად დაეხმარებოდა მას და ახალციხეში გავლენას აღუდგენდა და თუ ტრაქტატს ხელს არ მოაწერდა დაკარგავდა ყველაფერს რაც გააჩნდა. ტორმასოვის მიერ გაგზავნილ სხვა წერილშიცაა ნახსენები სელიმ ხიმშიაშვილი, სადაც ნახსენები იყო, რომ სელიმ ხიმშიაშვილს ჯერ არ ჰქონდა დამსახურებული რუსთა ყურადღება, თუმცა, თუ შვილს მძევლად მისცემდა რუსეთს, რუსეთისგან მიიღებდა თანადგომას ოსმალთა წინააღმეგ ბრძოლისას.

ზემოთ ხსენებული ფაქტები მიუთითებდა იმაზე, რომ რუსი მოხელეები ცდილობდნენ სიფრთხილის გამოჩენას სელიმისადმი და მას მაინცდამაინც არ ენდობოდნენ. რაც შეეხება თავად სელიმ ხიმშიაშვილს მას სურდა რუსეთთან კავშირი და დახმარების მიღება. ამასობაში დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის ომი- 1812 წლის 16 მაისს- ბუქარესტის ზავით. რუსეთს თავი უნდა შეეკავებინა ახალციხის საფაშოს საშინაო საქმეებში ჩარევისგან და უარი ეთქვა აჭარის სანჯაყ-ბეგისთვის რაიმე სახის დახმარების თხოვნაზე. სელიმ ხიმშიაშვილს ადრე დახმარების იმედი ჰქონდა გურიის მთავრისგან მაგრამ ამ შემთხვევაში სელიმმა მამაცი მოყვრისგან მხოლოდ მორალური დახმარება მიიღო. რადგან მამია გურიელი უკვე რუსეთის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ სელიმ ფაშას არც პეტერბურგთან დაკავშირება მისცემდა რაიმე სარგებელს,რადგან რუსეთი ახალციხის ფაშად სცნობდა შერიფ ფაშას. რაც შეეხება ოსმალეთს, ოსმალეთი სელიმ ფაშას მეამბოხე თვითმარქვიად მიიჩნევდა.

საიმედო დამცველის ძიებაში ხელმოცარულმა, გულდაწყვეტილმა სელიმ ხიმშიაშვილმა მიზნად სოლომონ მეფესთან დაკავშირება დაისახა. ის მამია გურიელსაც ავალებდა სოლომონისადმი დახმარებას, თუმცა ამაოდ. სოლომონი ხომ იმ პერიოდში ტრაპიზონს იყო შეფარებული, ხოლო გურიელი კი რუსეთის ერთგული მსახური ოსმალეთის მტერი იყო. 1815 წელს, გაზაფხულზე არზრუმის ფაშა ფეხლევან ბაბა-ფაშა 15 ათასიანი არმიით მოდის სელიმ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ. ამას დაემატა ტრაპიზონის მმართველის 12 ათასიანი ლაშქარი. სელიმი გაერიდა მრავალრიცხოვან მტერს და თავი შეაფარა ხიხანის გამაგრებულ ციხეს. იყო პერიოდი, როცა სელიმ ბეგს ძალები განუმტკიცებია და ოსმალთა ჯარები უკუ უგდია. თუმცა, როგორც ყველა დიდებული ციხისა და მოვლენის დროს ხდება ამ შემთხვევაშიც ციხე შიგნიდან- ღალატით გატყდა. თანაც ამჯერად სელიმს უახლოესმა პირმა - ციხისთავმა უმუხთლა. მან ქრთამისა და თანამდებობის სანაცვლოდ გახსნა კარი და მამულისსიყვარულით განმსჭვალულ მძინარე სელიმს მტერი თავს დააყენა. 1815 წლის 31 მაისს სელიმ ხიმშიაშვილი შეიპყრეს, სოფ.ბაკოში ჩამოიყვანეს და სერიყანას ფერდზე 3 ივნისს თავი მოკვეთეს. დღეს ამ ადგილასს წყარო გადმოსჩქეფს.

„მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს ვუტოვებო“ ზ.ჭიჭინაძის ცნობით ეს არის სიტყვები, რომელიც სელიმ ხიმშიაშვილს დასჯის წინ ჯალათისთვის განუცხადებია (ჭიჭინაძე, 1911:186). გმირულად მებრძოლმა პატრიოტმა, დიდებულმა მამულიშვილმა ნამდვილად შეასრულა ანდერძი, სამწუხაროდ თავის სიცოცხლეში ვერ მოესწრო აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთებას, თუმცა მისმა შთამომავლებმა ნამდვილად შეძლეს ჩვენი რეგიონის გამოხსნა. ამის ჭეშმარიტი მაგალითია შერიფ ხიმშიაშვილის მოღვაწეობა და წინაპრის მსგავსი ბრძოლა.

§ 2. აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნება - შერიფ ხიმშიაშვილი

XIX საუკუნეში ქართველი ხალხის განმანთავისუფლებელი ბრძოლა რუსეთს უკავშირდებოდა. ქართველი პატრიოტები იმედის თვალით შესცქეროდნენ რუსეთ-ოსმალეთის ომებს და აქტიურად მონაწილეობდნენ 1806-1812, 1828-1829 და 1853-1856 წლების ომებში. 1870-იან წლებში კი როცა ოსმალეთი ცდილობს გავლენის გაძლიერებას და სასტიკად ახშობს ბალკანელთა გამოსვლებს ბალკანეთის მფარველად გამოდის რუსეთი, რამაც კიდევ უფრო დაძაბა არსებული რთული ვითარება რუსეთსა და ოსმალეთს შორის. მართალია რუსეთის იმპერიას ამ პერიოდში კავკასიისა და ბალკანეთის დახმარების იმედი ჰქონდა, თუმცა მათი პოზიციების დაზუსტებას ცდილობდა. კომაროვი ნ.სვიატოპოლ-მირსკის მოახსენებდა: „სიადვილე და სიძნელე ჩვენი ოპერაციებისა დიდადაა დამოკიდებული იმ გარემოებაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს ჩვენს მიმართ აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობა“ (მეგრელიძე, 1963:116).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოზიცია რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმართ გამოიხატა შერიფ ხიმშიაშვილის საუბარში ივანე კერესელიძესთან. ხიმშიაშვილს განუცხადებია: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზად ვარ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შევუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს“ (ჭიჭინაძე, 1912-116). გარდა შერიფ ხიმშიაშვილისა სამშობლოსადმი მებრძოლ თავდადებულთა შორის მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვა ქართველმა პატრიოტებმა, ესენი არიან: გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, ახმედ ხალვაში, დედე ნიჟარაძე, ახმედ ხალიფაშვილი და სხვები.

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ დასავლეთ საქართელოში გამოსვლები მოეწყო. მათგან საყურადღებოა: 1862, 1873, 1875-1876 წლების გამოსვლები. 1862 წლის გამოსვლები თბილისში დაიწყო და მალე გადმოინაცვლა ბათუმში, ქობულეთსა და მაჭახლის ხეობაში. მოსახლეობა წინ აღუდგა სულთნის მთავრობის მცდელობას-გაედიდებინა გადასახადები, ნატურალური გადასახადი ფულადით შეეცვალა, სახელმწიფო ხაზინის უშუალო დაქვემდებარებაში შეეყვანა მთელი მოსახლეობა, განურჩევლად წოდებისა (სურგულაძე, 1978:3-15).

რაც შეეხება 1873 წლის მღელვარებას, დაკავშირებული იყო ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობისა და ადგილ-მამულების აღწერასთან. ოსმალთა მოხელეები ჯერ ქობულეთიდან გააძევეს, შემდეგ კი- აჭარიდან, ხოფიდან და სხვა რეგიონებიდან. აღნიშნულ აჯანყებას აფასებენ, როგორც გზას მომავლისთვის.

ასევე მძლავრი იყო 1875-1876 წლების გამოსვლები (სურგულაძე, 1969:90-100). ეს გამოსვლები დაკავშირებული იყო გადასახადების გადიდებასთან და ოსმალეთის ჯარში ახალგაზრდების გაწვევასთან. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გაზეთ დროებაში დაბეჭდილი სტატია "ქობულეთელის საუბარი", სადაც გამოხატულია საერთო უკმაყოფილება ოსმალური რეჟიმის მიმართ. ქობულეთელი საუბრობს ზაბითების (უფროსების) უდიერ მოპყრობაზე, რომ ისინი ქობულეთლებს ექცევიან უსამართლოდ, არ აძლევენ ფულს, როცა მათი ოჯახები შიმშილით იღუპება. ოსმალეთის მთავრობამ ეს ამბოხი იარაღით ჩაახშო, თუმცა გადასახადების გადიდება და მოსახლეობის ჯარში გაწვევა ვერ მოახერხა. მოსახლეობის მიმართ გატარდა მკაცრი რეპრესიები. მარტო ქობულეთისა და ბათუმის სამუდიროებში 1876 წლის სექტემბრისთვის დააპატიმრეს ათასზე მეტი კაცი. ასეთ რთულ ვითარებაში მყოფ ქვეყანას კი გამოხსნა-აღდგომის იდეად მხოლოდ რუსეთი ესახებოდა. ასეთ ვითარებაში 1877-1878 წლებში ქართველი ხალხი ხალისით ქმნიდა სახალხო რაზმებს. გურულების მამაცობა აკვირვებდა საკუთრივ რუსებსაც კი, იმერეთში კი თურმე 13-14 წლის ყმაწვილები ტირილით ითხოვდნენ ჯარში გაწვევას. ომის პირველ ეტაპზე მხოლოდ ოზურგეთის მოსახლეობისგან შეუდგენიათ დრუჟინა, დანარჩენებისთვის კი უთქვამთ, რომ ერთი წლის შემდეგ ჩარიცხავდნენ სახალხო ლაშქარში. მათ ეს არ მოსწონებიათ და უთქვამთ, რომ რა აზრი ექნებოდა ლაშქარში შესვლას თუ ომი უკვე დასრულებული იქნებოდა.

ომის წინ, მოკლე დროში ამიერკავკასიაში მზად იყო 42 ათასი კაცი. ისინი შეადგენდნენ კავკასიის არმიის მეოთხედს. საქართველოში შეიქმნა 37 საბრძოლო შენაერთი, რომელშიც 18395 კაცი ირიცხებოდა .ეს პროცესი გაგრძელდა ომის დროსაც და 1877-1878 წლებში მთლიანად 30 ათასზე მეტი ქართველი მონაწილეობდა (მეგრელიძე, 1956:51). მათ შორის რა თქმა უნდა არაერთი სასულიერო პირიც იყო. სახალხო რაზმელების უზრუნველოყოფაში წვლილი შეჰქონდა ყველა კუთხეს:

ქართლის პატარა სოფელ მანგლისში შეაგროვეს-600 რუბლი, ოზურგეთში- 800 რუბლი, თბილისში-7000, ქუთაისში-10 000. შეგროვებული ფულით არმიისთვის მიჰქონდათ საჭირო მასალები, სურსათი, და სხვა ნივთები. რუსეთის არმიის მაღალი რანგის მოხელეები და გენერლები გაოცებულნი იყვნენ ქართველთა სახალხო რაზმელების მსგავსი მომზადებით, კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა ოზურგეთის სამხედრო შენაერთების დათვალიერების შემდეგ განაცხადა: „ასეთი მამაცი ახალგაზრდებით შეიძლება ომში წასვლაო“.

ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1877 წლის 12 აპრილს დაიწყო. საომარი ოპერაციები ბალკანეთსა და კავკასიაშიც გაიშალა. ოსმალეთის არმია შეადგენდა 450 ათას კაცს, რუსეთის კი- 180 ათასს. რუსეთის ჯარი იყოფოდა სამ კორპუსად: პირველი- უშუალოდ ფრონტის ხაზზე იყო განლაგებული, მეორე- რიონის რაზმი, მესამე კი ანდრონიკაშვილის რაზმი, რომელიც კახეთში ალაზნის პირას იყო დაბანაკებული. ამიერკავკასიის მოქმედი კორპუსი 60 ათას კაცს შეადგენდა. გეგმის თანახმად შეტევა განვითარდა 4 მიმართულებით: ოზურგეთიდან- ბათუმისკენ, ახალციხიდან-არტაანისკენ, ალექსანდრეპოლიდან-ყარსისაკენ, ერევნიდან-ბაიაზეთისაკენ. ძირითადი საბრძოლო მოქმედების ასპარეზი იყო ანატოლია, რადგან ყარსის, არტაანის, ერზრუმის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთის დამარცხებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შავიზღვისპირეთის გამოხსნას და ბათუმის მიმართულებით ბრძოლების განვითარებას. ომის პერიოდში აჭარლები იმედიანად შეჰყურებდნენ ეროვნული მთლიანობის იდეას. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებდით „ღვთით მალე შევუერთდებით ჩვენს თანამემამულეებსო“ (დროება, 1877).

ოსმალეთი ყველა ღონეს მიმართავდა ქართველთა დასაქვეითებლად: შანტაჟს, მოსყიდვას, ძალადობას, იდეოლოგიურ დამუშავებას. ამ ყველა მცდელობის საფუძველზე მათ მოახერხეს და შექმნეს პატარა რაზმები, რომელთაც სათავეში გამუსლიმანებული ქართველი ფეოდალები ჩაუყენეს. ქობულეთის რაზმს ხელმძღვანელობდნენ ოსმან და ალი ფაშა თავდგირიძეები, რაზმში შედიოდა 5 ათასამდე კაცი. ჩაქვში კი რაზმს სათავეში ხუსეინ ბეჟანიძე ედგა. ზემო და ქვემო აჭარაში რვაათასკაციან მეომართა რაზმს კი შერიფ ხიმშიაშვილი მეთაურობდა.

ოსმალეთი დიდ იმედებს ამყარებდა აღნიშნულ რაზმებზე, მაგრამ ამაოდ. შერიფ ფაშამ რუსეთთან გააბა საიდუმლო მოლაპარაკება და რუსეთის მთავრობას აუწყებდა თავისი გეგმის შესახებ. ოსმალებმა ამოიცნეს მისი პოზიცია, ის მოღალატედ ჩათვალეს და სცადეს მისი დაპატიმრება. შერიფ ფაშა ახალციხეში გადავიდა, მისი ცოლ-შვილი არტაანში გადამალა. ამ დროს, ფანატიკოსთა ბრბომ მისი სახლ-კარი გადაწვა, რომელიც ხულოში მდებარეობდა.

1878 წლის 19 ივნისს ახალციხეში გაიმართა სადილი, სადაც ეს ამბავი შერიფ ხიმშიაშვილის ვაჟმა აღწერა: „დევრიშ-ფაშა მწერდა, რომ ახალციხეზე გაილაშქრეო, რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასო. ჯერ ვატყუებდი, რომ გზა მაქვს გამაგრებული, მერე თავი დავიძრინე აქედან, მაგრამ, როცა რუსის ჯარი არტანუჯისკენ გავუშვი ხელუხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დევრიშ-ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ზემო და ქვემო აჭარის შუა, წავკიდე ისინი და 4 ბატალიონი მათ დასამშვიდებლად გავგზავნე. დამრჩა ხუთი ბატალიონი. კიდევ ორი სხვაგან გავგზავნე და დამრჩა სამი ბატალიონი. ახლა კი მივწერე დევრიშ-ფაშას, რომ ამ სამი ბატალიონით წინ ვერ გავიწევი, ისევ იქ გავმაგრდებითქვა და ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ეჭვი ჰქონდათ, კაცები მიდიოდნენ, ჩამასმინეს: იმას რუსისაკენ უჭირავს თვალიო და მეტი არ შემეძლო, ცოლ-შვილი არტაანში გავგზავნე, მე კი ახალციხეში გამოვიპარე“ (დროება;1878).

ოსმალთა ბატონობის გამოხსნის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის შავშეთის მმართველს - ნური ხიმშაშვილს. მიუხედავად, აღნიშნული პატრიოტებისა სამწუხაროდ არსებობდნენ ცალკეული პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები, რომლებიც კვლავ ოსმალეთის ერთგულნი რჩებოდნენ. მაგალითად: ბეგები, ოსმან და ალი თავდგირიძეები.

რაც შეეხება აღნიშნული პერიოდის ქობულეთს, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ აქაური მოსახლეობა მასობრივად გადადიოდა რუსეთის მხარეს. მაგალითად მუხაესტატეს აღების შემდეგ, ქობულეთელმა ყურშუ ჭყონიამ სასწრაფოდ დატოვა ქობულეთელთა ბანაკი და რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვა. მეორე დღესვე გადავიდა რუსეთის მხარეს ქობულეთელთა 150 კაციანი არმია, რომელსაც შერიფ-აღა ხელმძღვანელობდა. ქობულეთის მოსახლეობაც მასობრივად

გადადიოდა რუსეთის მხარეს და ოსმალეთის წინააღმდეგ თავგანწირვით იბრძოდნენ. მაშინ ოსმალებმა აჭარლები მოღალატეებად მონათლეს და შეეცადნენ მშობლიური მიწა-წყლიდან მათ აყრას (მეგრელიძე, 1956:127).

რუსეთი ომის საწყის ეტაპზე აქტიურ საომარ ოპერაციებს ახორციელებდა. 1877 წლის აპრილში რუსებმა დაიკავეს ბაიაზეთი, ყაღზევანი, და არტაანი. ოსმალეთის არმიამ დიდი მარცხი განიცადა არტაანთან. ეს იყო რუსეთისთვის პირველი დიდი გამარჯვება 1877-1878 წლებში. ამის საპასუხოდ ოსმალეთმა გამოგზავნა დესანტი-2000 კაცისაგან შემდგარი, მაგრამ დამარცხდნენ. 20 აგვისტოს გათავისუფლდა სოხუმიც და აფხაზეთის ტერიტორია ოსმალთაგან გაათავისუფლეს. შემოდგომაზე კი კახეთში დაბანაკებულმა ანდრონიკაშვილმა ჩეჩნეთისა და დაღესტნის მოლაშქრეები გაათავისუფლა, რომლებიც ოსმალეთის დასახმარებლად ჩრდილოეთიდან დაიძრნენ.

ომის მეორე პერიოდში რუსეთი თავდაცვით ომებს აწარმოებდა. შეჩერდა აქტიური საბრძოლო ოპერაციები, ორივე მხარე ცდილობდა ჯარები შეეკრიბა. საომარი მოქმედებები განაახლეს 1877 წელს ოქტომბერში, ხოლო ნოემბერში კი რუსთა ჯარმა აიღო- ყარსი. ამ ბრძოლაში ოსმალეთმა დაკარგა უამრავი მეომარი, მათ შორის 5 ფაშა და 800 ოფიცერი. რაც შეეხება ბათუმს იქ სულ სხვაგვარი ვითარება იყო. ოსმალთა არმია ითვლიდა 50 ათას კაცს, მათ უპირისპირდებოდა რუს-ქართველთა 25 ათასიანი რაზმი. აქ შედიოდნენ, როგორც რეგულარული სამხედრო შენაერთები, ისე სახალხო მოლაშქრეები. ომის წინ ქართველთა ლაშქრები განლაგებული იყო ოზურგეთში, ნაგომარსა და ორპირში. საბრძოლო მზადებისთვის დიდი მუშაობა ჩატარდა. გაამაგრეს ოზურგეთის გარშემო არსებული მაღლობები, სახლებში გახსნეს ჰოსპიტალები, მდინარეებზე ააგეს ხიდები. გურიაში დაბანაკებულ რაზმს ოზურგეთის რაზმი ეწოდებოდა, რომელსაც სარდლობდნენ გენერალ-მაიორები ლევან და დიმიტრი გურიელები. 1877 წლის 12 აპრილს, გათენებისას რუს ქართველთა ჯარმა გაარღვია ოსმალეთის დაცვა. შეტევაზე გადავიდა ოზურგეთში არსებული რაზმის სამი კოლონა. მარჯვენა კოლონას მეთაურობდა-ი.აბაშიძე, შუას გენერალ-მაიორი შელემეტიევი, მარცხენას - დანიბეგაშვილი. რაც შეეხება ქვეითი რაზმის შუა კოლონას, მას ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, მარცხენას იესე

გურიელი. ოზურგეთში მყოფი რაზმის მოვალეობა იყო გურიის დაცვა და ფრონტის ზურგის გამაგრება.

რუს-ქართველთა ლაშქარმა უეცრად დაიკავა ქობულეთი და ოჩხამური, 25 აპრილს- ლეღვა, 14 აპრილს- მუხაესტატე. მსხვერპლი ორივე მხარეს საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავდა. რუსეთის მთავრობამ დროებით შეაჩერა დარტყმა, რაც 29 აპრილს დანიბეგაშვილის რაზმმა განაახლა და 29 აპრილს სოფელი ხუცუბანი აიღო. 16-28 მაისს იბრძოდნენ სოფელ სამების დასაკავებლად და მოახერხეს კიდეც დაკავება. ამ ყველაფრის შემდეგ გააძლიერეს ციხისძირზე იერიშის მიტანის საკითხი. ამ დროს ქართველი პატრიოტების სიმამაცე და ვაჟკაცობა ანცვიფრებდა რუს პოლკოვნიკებს. ამის ნათელი მაგალითია გურიის ორდენის კავალერის- გოგუაძის მიერ 14 წლის ვაჟის ბრძოლის ველზე გაყვანა. სამწუხაროდ 1877 წელს წარმოებული ბრძოლა ციხისძირის დასაბრუნებლად წარუმატებლად დასრულდა. რასაც მოჰყვა კიდევ ერთი მარცხი სოფელ კვირიკესთან. თუმცა 1877 წლის 15 ნოემბერს რუს-ქართველთა შენაერთებმა დანიბეგაშვილის მეთაურობით მეორედ დაიკავეს ხუცუბანი. ამან ბიძგი მისცა ციხისძირთან მეორე შეტევის განხორციელებას, რაც 1783 წლის 18 იანვარს დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ რუს-ქართველთა ლაშქარი თავდაუზოგავად იბრძოდა ეს შეტევაც წარუმატებელი აღმოჩნდა, მსხვერპლი ბევრად უფრო დიდი იყო ვირე 1877 წლის 11-12 ივნისს. აღნიშნულ საკითხზე გულდაწყვეტით საუბრობდა გ.წერეთელი (წერეთელი, 1973:230).

როგორც ვიცით ოსმალეთმა ანატოლიასა და ბალკანეთში დამარცხდა. ამის შემდეგ კი უნარი აღარ შესწევდა ბრძოლა გაეგრძელებინა. სწორედ ამიტომ რუსეთს ზავი შესთავაზა. 1878 წელს, 19 თებერვალს სან-სტეფანოში დაიდო ზავი, რომლითაც აღიარეს სერბიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობა. რაც შეეხება ბულგარეთს: მისი ნაწილი დამოუკიდებელ სამთავროთ ცხადდებოდა, ნაწილს კი ავტონომია ეძლეოდა ოსმალეთის მფლობელობაში. ოსმალეთს გარდა ამისა დაეკისრა კონტრიბუცია- 1410 მილიონი რუბლი. დაუძლურებულ ქვეყანას ამხელა თანხის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნდა, ამიტომაც იგი ნაწილობრივ ტერტორიების დათმობით შეიცვალა. აზიაში ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო: ყარსი, ბაიაზეთი, ერზრუმი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელა,

ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმ-ქობულეთი. ევროპაში კი ბესარაბიის ნაწილი დაიკავა, რომელიც ყირიმის ომის შემდეგ დაკარგა. სან-სტეფანოს ხელშეკრულებით დადგინდა, რუსეთის მფლობელობაში გადასული მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლის სამწლიანი ვადა. რუსეთს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფლად მიმოსვლის საშუალება ეძლეოდა (სურგულაძე, 1996:184). ამას მოჰყვა ბერლინის კონგრესი, სადაც მოხდა სან-სტეფანოს ზავის გადასინჯვა. კონგრესის შემდგომ რუსეთმა ოსმალეთს გარკვეული ტერიტორიები დაუბრუნა, თუმცა ოსმალეთს ყველაზე მეტად ეძნელებოდა რუსეთისთვის აჭარის სრულიად გადაცემა და ბათუმის დათმობა. თუმცა მაინც მოუწია. ქობულეთში რუსეთის არმია 17 აგვისტოს შემოვიდა. წინ მიუძღოდა გურიის ლაშქარი და მათ მგზნებარე სიტყვებით მიმართავდა გულო კაიკაციშვილი: „ჩვენო ქართველებო ,ჩენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს ჩვენი ძველი ძმები....აქ ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შეასრულა“ (სურგულაძე, 1973:3-4).

ბათუმში რუსეთის ჯარები სამი მხრიდან შემოვიდა: ქობულეთიდან, ართვინიდან და ზემო აჭარიდან. მათ მოუძღვოდათ შერიფ ხიმშიაშვილი და ნური ხიმშიაშვილი. სადილი გაიმართა აზიზიეს მოედანზე. ამ დროს კი შერიფ ფაშას უკისრია ტოლიბაშობა და უდღეგრძელებია ხალხი, რომელთაც დანაწილებული ქართველები შეუერთებია: ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა! ვისურვოთ იმათი ბედნიერება და სიცოცხლე! არც ჩვენგან და არც ჩვენი შთამომავლობისგან არ იქნება მივიწყებული მათი შრომა და კაცობრიობა“ (დროება, 8 სექტემბერი, 1878).

დედასამშობლოსთან დაბრუნების შედეგად შემოერთებული მხარის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ქართველი ხალხი ჩადგა მისი აღორძინების სამსახურში.

დასკვნები

ამრიგად, XIII საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში ოსმალთა მცირე სახელმწიფო შეიქმნა, რომლის განვითარება უარყოფითად აისახებოდა მეზობელ ქვეყნებზე. ოსმალთა სახელმწიფოს მთავარ მიზანს წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნების ხარჯზე თავისი სამფლობელოს გაძლიერება. სამწუხაროდ მათი რისხვა თავს დაატყდა საქართველოს და საკუთრივ აჭარის რეგიონს. რაც შეეხება აღნიშნულ პერიოდში აჭარის მდგომარეობას, შემდეგნაირია: ქართველი ერის გაერთიანებისა და საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ მთლიანად აჭარა კლარჯეთის შემადგენლობაში შედიოდა. მას ერისთავი მართავდა. შემდეგ პერიოდში კი ბათუმის მიწებს გურიელების საგვარეულო განაგებდა. XV საუკუნის ბოლოს, კახაბერ გურიელის მმართველობის დროს თურქებმა შეძლეს და ეს ტერიტორიები მიიტაცეს. თუმცა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა როსტომ გურიელმა შეძლო და თურქები ქართული მიწებიდან განდევნა. სამწუხაროდ, როსტომ გურიელის გარდაცვალების შემდეგ - 1564 წელს თურქებმა ლაზეთი და მიმდებარე ტერიტორიები კვლავ ხელთ იგდეს, ბათუმი კი სანჯაყის მთავარ ქალაქად აქციეს. მათი გაბატონება პირდაპირ კავშირში იყო მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელებასთან. ოსმალეთი ხდება აჭარისა და სამცხე-საათაბაგოს პატრონი. 1536 წელს თურქებმა დაიპყრეს ტაო-კლარჯეთიც.

ოსმალო დამპყრობლები მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ საქართველოში. ქართველები არც ერთ მტკაველ მიწას არ თმბოდნენ უბრძოლველად. მაგრამ მტერთა სიმრავლემ და თავადთა სეპარატიზმმა ხელი შეუწყო მათ მარცხს. ოსმალებმა 1551-1552 წლებში დაიპყრეს ტაოსკარი, მამირვარგი, მაჭახლის ხეობა, არტანუჯის ციხე, არტაანი და სხვა ტერიტორიები არსიანის ქედამდე.

1555 წლის 29 მაისს თურქეთის ქალაქ ამასიაში ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომელიც ამასიის ზავის სახელითაა ცნობილი. ამ ზავით ოსმალეთმა და ირანმა ამიერკავკასიის ტერიტორიები გადაინაწილეს. ქართლ-კახეთი, აღმოსავლეთ ნაწილი მესხეთისა და ახალციხის ჩათვლით ერგო ირანს, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს.

ცნობების თანახმათ საქართველოში ოსმალური პერიოდი იწყება XVI საუკუნის 70-იან წლებში და გრძელდება სამი საუკუნის განმავლობაში - XIX საუკუნის 70-იან წლებამდე. ეს არის უმძიმესი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რამაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველო სამი საუკუნით დააშორა დედასამშობლოს. ოსმალო დამპყრობლები სასტიკად უსწორდებოდნენ მოსახლეობას, იყო უსამართლობა, დაშინება, ჩაგვრა, ძალით მოქცევა მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე და სხვა ფაქტორები. მაგრამ პატრიოტთა ძალამ, თავგანწირვამ და ერთად დგომამ საბოლოოდ მაინც გამოიღო შედეგი. საბედნიეროდ უკვალოდ არ ჩაუვლია სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების ღვაწლს. XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება საქართველოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსია და ნელ-ნელა მისი საზღვრები აჭარის ტერიტორიას უახლოვდება. 1877-78 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთისა და მის მიერ დაპყრობილი ქართველი ერის ინტერესები გარკვეულწილად ერთმანეთს დაემთხვა, რადგან ძირძველი ქართული მიწების ოსმალთა უღლისაგან გამოხსნას უდიდესი მნიშნელობა ჰქონდა. ქართველი პატრიოტებიც დიდი მონდომებით ცდილობდნენ რუსეთთან კავშირით მოეხერხებინათ აჭარის გამოხსნა და ასეც მოხდა.

აქტიურად დაიწყო რაზმების ჩამოყალიბება ქართლში, იმერეთში, კახეთში, სამეგრელოსა და გურიაში. რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის დროშის ქვეშ 30 ათას ქართველზე მეტი იბრძოდა. 1878 წლის 3 მარტს სან სტეფანოში მეომარმა მხარეებმა საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ოსმალეთმა ფულადი კონტრიბუციის ნაწილი გარკვეული ტერიტორიების დათმობით გადაიხადა. მათ შორის იყო ისტორიული ქართული მიწები: კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი და აჭარა. ხოლო ბერლინის კონგრესზე, რომელიც წარმოადგენდა სან სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას რუსეთმა შეძლო ძირითადი ტერიტორიული მონაპოვრის შენარჩუნება. აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს, ხოლო ბათუმი კი გამოცხადდა „პორტო ფრანკოდ“ ანუ თავისუფალ ნავსადგურად.

ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ დიდი დაღი დაასვა ჩვენს რეგიონს. დამპყრობელმა ვერ შეძლო წაეშალა ადგილობრივ მოსახლეობაში ძირძველი

ქართული ტრადიციები და რაც მთავარია ენა და სარწმუნოება. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულია ადგილობრივთა წვლილი, რომელთა შორის აღსანიშნავია ხიმშიაშვილთა (შერიფ და სელიმ) ღვაწლი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ ომის შედეგად აღდგა ისტორიული სამართლიანობა და აჭარა სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ავალიანი ა, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათ.,1960

2. ახვლედიანი ხ, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1973

3. ბატონიშვილი ვ, საქართველოს ისტორია- ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973

4. ბაქრაძე დ, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში., თბ 1967

5. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი I, თბ., 1947

6. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი II თბ., 1991

7. დიასამიძე ა, გრიგოლ გურიელი საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისთვის მებრძოლი. - სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ.,2016

8.ვარდმანიძე ჯ, მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათ., 2013

9. თურმანიძე ო, რუსეთ-ოსმლეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება.- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა- III, გვ. 43-55. ბათ., 2008

10. მეგრელიძე შ, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956

11. მეგრელიძე შ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან თბ., 1963

12. სახოკია თ, მოგზაურობანი, ბათ.,1985

13. სვანიძე მ, სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის მიტაცება ოსმალეთის მიერ.- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა- II, გვ. 227-238, ბათ., 2009

14. სურგულაძე ა, სიხარულიძე .ფრ, ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების ცდები XVII-XVIII საუკუნეებში.- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა-II, გვ. 249-280, ბათ., 2009

15. სიხარულიძე ფრ, სურგულაძე ა, განმანთავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის დამდეგს. სელიმ ხიმშიაშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა- III, გვ.280-289, ბათ., 2009

16. ყაზბეგი გ, სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბ., 1991

17. შენგელია ნ, ოსმალური მიწიმფლობელობის ფორმები აჭარაში XVI-XVIII საუკუნეებში.- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა- II, 238-244, ბათ., 2009